საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 8 თებერვალი. 2018 წ. №27 (8428), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტრაგედია დოდო გუგეშაშვილის ოჯახში

გუშინ 1958 წელს დაბადებულ დოდო გუგეშაშვილს და მის შვილს, 1985 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, დიღმის მასივში, მათსავე საცხოვრებელ ბინაში, უცნობმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენა. გ.გ შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დ.გ. გადაყვანილია სამედიცინო დაწესებულებაში. მოკლულის ცხედარი გადაასვენეს ექსპერტიზაზე. დოდო გუგეშაშვილს კი ღუდუშაურის კლინიკაში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

დოდო გუგეშაშვილმა საოპერაციოში შეყვანამდე სამართალდამცველებს თავდამსხმელის ვინაობა დაუსახელა. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მუხლებით მიმდინარეობს.

ლუკ კოფი: საქართველო ნატოში დაჩქარებული წესით უნდა გაერთიანდეს!

3

ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები?!



რუსეთის იმპერია, ანუ საბჭოთა კავშირი – ორი პროგრესი

„ასლო“-ები აბობოქრდნენ

„არ ვარ ნაციონალი და არც არასდროს ვყოფილვარ, ვიღაც რომ ღამე მიჰყავდათ და ქონების გადაფორმებაზე ხელს აწერინებდნენ, ასეთი ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა“.

4

„დაიკიდეთ და გულზე მოგეშვებათ“!

ექვთიმე თაყაიშვილი:

ეს ყველაზე დიდი სახლია ტფილისში!..

7

უნივერსიტეტის პროექტი

„ეს შენობა კლდიაშვილისათვის ძეგლია, მისი საუკეთესო ნაწარმოებია...“

დედაუნივერსიტეტი – 100

უნივერსიტეტი მუდამ იდგა ჩვენი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვულოცავ 100 წლის იუბილეს! ამ იუბილეს ვულოცავ სრულიად საქართველოს, რომლის უახლეს ისტორიაში უნივერსიტეტმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. ამ იუბილეს ვულოცავ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, კურსდამთავრებულებს და, განსაკუთრებით, სტუდენტებს, რომლებიც დღეს განათლებას ისტორიულ კედლებში იღებენ. ეს არის გამორჩეული მნიშვნელობის თარიღი პირადად ჩემთვის, როგორც „უნივერსიტეტელისთვის“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი და მნიშვნელობა ყოველთვის განსაკუთრებული იყო, არის და იქნება მომავალშიც. უნივერსიტეტი არის ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და საქართველოს ევროპული მომავლის გარანტი. უნივერსიტეტი, მისი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ მომენტებში იდგნენ ჩვენი ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ცოდნის ტაძარი, აგრძელებს ასი წლის წინათ დაწყებულ საქმეს და ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მას ამ უდიდესი მისიის შესრულებაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს წინსვლისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის!, – ნათქვამია მილოცვის წერილში.

ირაკლი კობახიძე,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

განათლება ქვეყნის თავისუფლების საფუძველია!

პრეზიდენტი უნივერსიტეტის პროფესურას „დაუნდობლად“ აკრიტიკებს!

საქართველოს პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში მონაწილე დელეგაციებსა და ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს გუშინ სასახლეში მიღებაზე უმასპინძლა და საერთაშორისო დელეგაციებს საქართველოში სტუმრობისათვის მადლობა გადაუხადა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო მიღებაზე, რომელიც წელს იუნესკოს ეგიდით იმართება, მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების და საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგაციები, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუმრებს მიმართა. გიორგი მარგველაშვილმა ის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პროცესები გაიხსენა, რომელიც საქართველოს პირველი უნივერსიტეტის დაფუძნებისას მიმდინარეობდა და რა როლს ასრულებდა თსუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდებში.

„უნივერსიტეტმა მისცა ჩვენს სამშობლოს ის ძალიან მნიშვნელოვანი ბურჯი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანწილად გაგვატანინა სამოცდაათწლიანი ოკუპაციის პერიოდი.

უნივერსიტეტი იყო ის კერა, სადაც ჩვენ არამხოლოდ ცოდნას ვეწაფებოდით და ვიღებდით, არამედ ვიგებდით ჩვენი იდენტობის შესახებ. შესაბამისად, სამოცდაათი წლისთავზე, როცა დაინგრა საბჭოთა იმპერია, ჩვენ მომზადებული ვიყავით, იმიტომ, რომ ვიცოდით ვინ ვართ, ვიცოდით, რომ ჩვენი მიზანი, ამ ქვეყნის მოქალაქეთა მიზანი თავისუფლებაა.

განათლება თავისუფლების წინაპირობაა. ხოლო საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების წინაპირობა არის ის კერები, სადაც განათლება ინსტიტუციურად იქმნება და ვითარდება“...

იხ. 2 გვ.

განათლება ქვეყნის თავისუფლების საფუძველია!

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობისაკენ მოუწოდა.

„სამწუხაროდ, საზოგადოებრივ- პოლიტიკურ პროცესში სულ უფრო ნაკლებად ვხედავთ პროფესურის, ლექტორების, იმ ადამიანების აზრებსა და შეხედულებებს, ვისკენაც უნდა მივაპყროთ ხოლმე ყურადღება, როდესაც ვფიქრობთ: როგორ უნდა, ვიცხოვროთ, რანაირად უნდა წარვმართოთ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. წელს ჩვენ ვზეიმობთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავსაც და ვამბობთ, რომ ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებით უნდა დამთავრდეს, ყველაზე მეტად მოგაპყრობთ ყურადღებას პროფესორებს.

ქართული გამოცდილება არის ის, რასაც ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ. შარშან მთელი წელიწადი მიმდინარეობდა კონსტიტუციის განხილვა. მე არ მომისმენია, სამწუხაროდ, ერთი კომენტარიც კი იმის თაობაზე, როგორ წარმართეს ჩვენმა წინაპრებმა 1919-21 წლებში კონსტიტუციის განხილვის პროცესი. იმ კონსტიტუციის ისეთი პუნქტები, როგორიც არის, მაგალითად, ქალთა საყოველთაო საარჩევნო უფლება, პროგრესული იყო მაშინდელ ევროპაშიც კი. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ თვითმმართველობის შესახებ, მაგრამ მე არ გამიგია ისეთი კარგი, შინაარსიანი დისკუსია ამის თაობაზე, როგორ იყო ტრადიციულად ორგანიზებული და მოწყობილი ქართული თვითმმართველობა, რა ფორმით არსებობდა ქართული თემი და რა იქნება ბუნებრივი ყველაზე მეტად რომ თვითმმართველობის სახით მოვარგოთ ჩვენს მხარეებს, თუ რაიონებს, თუ სოფლებს.

ამ დისკუსიაში პატივცემულო ლექტორებო და პროფესორებო და მეცნიერებო, თქვენი ხმა აუცილებლად უნდა ისმოდეს. იმიტომ, რომ ისიც იცოდეთ, რომ, თუ თქვენ არ გამოხვალთ და არ მოყვებით, ვინ არის ქართველი, როგორი ტოლერანტული წარსული აქვს ქართველ ერს, თუ თქვენ არ გაახმოვანებთ იმას, რას წერდა ილია ჭავჭავაძე საქართველოზე — როგორი უნდა იყოს საქართველო, თუ თქვენ არ მოუყვებით ფართო საზოგადოებას, როგორი მრავალეთნიკური და რელიგიური სახელმწიფო შექმნა ჩვენმა ყველაზე დიდმა მონარქმა დავით აღმაშენებელმა, გამოჩნდებიან სხვები და მოუყვებიან საზოგადოებას სხვა სიმართლეს“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის სასახლეში სტუმრებს სიტყვით მიმართეს ასევე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ირაკლი კობახიძე კონგრესმენ ჰალ როჯერსს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში შეხვედრებს მართავს. ასიგნებების კომიტეტის სახელმწიფო, საგარეო ოპერაციებისა და დაკავშირებული პროგრამების ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან, ჰალ როჯერსთან გამართულ შეხვედრაზე ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კონგრესმენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა და პარლამენტის დღის წესრიგი გააცნო. საუბარი შეეხო ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და რეგიონში არსებულ ვითარებას. ჰალ როჯერსის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს უპირობო მხარდაჭერას.

პარლამენტის თავმჯდომარე მედიასთან დამატებით შეხვედრას გამართავს

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე მედიასთან დამატებით შეხვედრას გამართავს, რის შემდეგაც მოხდება პოზიციების შეჯერება.

„პრეზიდენტის ვეტოსთან დაკავშირებით, იცით, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ დააანონსა მედიასთან დამატებითი შეხვედრა. ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარე აშშ-ში იმყოფება, შეხვედრა მისი ჩამოსვლის შემდეგ გაიმართება. ასევე, შეხვედრები გაიმართება უმრავლესობის შიგნით, რადგან აზრთა სხვადასხვაობაა და შემდგომ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. თავის დროზე, როცა ჩვენ ეს კანონი მივიღეთ, საკმაოდ მყარი არგუმენტები იყო ორივე მხარეს, ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგვიწევს აზრების შეჯერება“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

პრეზიდენტს სასამართლო სისტემაში „აფეთქება“ სჭირდება!

ჟურნალისტების კითხვაზე, სჭირდება თუ არა პრეზიდენტს სასამართლო სისტემაში „აფეთქება“, უმრავლესობის წევრი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტის მსგავსი პოლიტიკური მიზნები არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას არ გაუკვირდება.

„პრეზიდენტის მსგავსი პოლიტიკური მიზნები არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას არ გაუკვირდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ეს დაგიდასტუროთ. იუსტიციის საბჭოსთან მიმართებაში და ანა დოლიძის განცხადებებში საარჩევნო კამპანიის მიზნებს ვერ დავინახავდი, თუმცა დაგიდასტურებთ, რომ პრეზიდენტს გარკვეული პოლიტიკური მიზნები აქვს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პოლიტიკური მიზნების შესაბამისი რეალიზება მოხდეს. ეს პოლიტიკური მიზნები თავის სასარგებლოდ არის“, — აღნიშნა მდინარაძემ, რომელიც იუსტიციის საბჭოში გუშინ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

ზურაბ პატარაძე თურქეთის გენერალურ კონსულს მაქბულე ქოჩაკს ესაუბრა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულთან მაქბულე ქოჩაკთან შეხვედრა გამართა. ზურაბ პატარაძემ ახლად დანიშნულ ელჩს მისიის დაწყება მიულოცა და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ზურაბ პატარაძემ და მაქბულე ქოჩაკმა საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ურთიერთობები და თანამშრომლობის სფეროები განიხილეს. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს თანამშრომლობა სავაჭრო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარული ურთიერთობების მიმართულებით. მხარეებმა ასევე ისაუბრეს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.



შეხვედრაზე ზურაბ პატარაძემ და მაქბულე ქოჩაქმა ასევე ისაუბრეს სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის მუშაობის საკითხზე. მხარეებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის კვლავაც ძველი წესით მიმდინარეობს და ეს ორი ქვეყნის წარმომადგენელთა კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობის შედეგია.

2018 წლიდან გვექნება კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“

„ჩვენ ვგეგმავთ უკვე 2018 წლიდან მივიღოთ კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ, ამით ამოქმედდება საქართველოში ელექტრონული კომერციის ევროპული რეგულაციები, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კომპანია „საქართველოს ფოსტის“ ახალი სერვისის „მალეოს“ პრეზენტაციაზე.

აღნიშნული სერვისით უცხოეთის ინტერნეტ-მაღაზიებიდან შეკვეთილ პროდუქციას საქართველოს რეგიონების მცხოვრები ადამიანები „საქართველოს ფოსტის“ ოფისებში უცხოეთიდან შეკვეთილ ამანათს იგივე ტარიფით მიიღებენ, როგორც დიდი ქალაქების მოსახლეობა. პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ახალი კანონი ხელს შეუწყობს ინტერნეტსივრცეში, ელექტრონული კომერციის პროცესში, მომხმარებელთა უფლებების და მათი პერსონალური მონაცემების დაცვას. **„ამასთან, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოში დაინერგოს ელექტრონული კომერციის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. კანონი ასევე ხელს შეუწყობს ელექტრონული კომერციის პლატფორმების სანდოობის ამაღლებას, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ადგილობრივ ბიზნესს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოებს საკუთარი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანაში დაეხმარება,“** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

თბილისის მერი ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

თბილისის მერი კახა კალაძე, მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან და თბილისის განვითარების ფონდის დირექტორ გიორგი ბაიდარაშვილთან ერთად, ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ამ ეტაპზე, ორბელიანის მოედანზე, ფხოვის №3-სა და ფურცელაძის №18-ში არსებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი მიმდინარეობს, რომლის ადგილზეც ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდება. პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა მტკვრისა და ვირსალაძის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, მოეწყო მიწისქვეშა კომუნიკაციები და დაიგო ასფალტის ახალი საფარი. თბილისის მერის განცხადებით, ორბელიანის მოედანზე სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ, დედაქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი შეემატება.

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის გიორგი ბაიდარაშვილის განცხადებით, პროექტის ფარგლებში, 150 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა იგეგმება. ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციას თბილისის განვითარების ფონდი პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ღირებულება დაახლოებით, 55 მლნ ლარს შეადგენს. ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია 2018 წლის ბოლოს დასრულდება.

ნატო - ქართველთა, აფხაზთა და ოსთა გადარჩენის გზა!

გასულ კვირას ჰერიტიჯის ფონდის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხილველმა ლუკ კოფიმ დაწერა, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანება შეერთებული შტატების ინტერესებშია. კოფი ასევე გამოდის იდეით, რომ საქართველო ალიანსში დაჩქარებული წესით იქნეს მიღებული.

— რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ ნაშრომში ამბობთ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება შეერთებული შტატების ინტერესებშია. რატომ მიიჩნევთ ასე?

— უკვე რამდენიმე წელია, საქართველო აჩვენებს, რომ ის შეერთებული შტატებისთვის სანდო პარტნიორია. ის მონაწილეობს ავღანეთის მისიაში, მანამდე მონაწილეობდა ერაყის მისიაში, მას წვლილი შეაქვს ტრანს-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში. საქართველო ასრულებს ნატოს მოთხოვნას თავდაცვის სფეროს დაფინანსების შესახებ. და საქართველო მდებარეობს გეო-სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში.

— მსგავს პოზიციას იზიარებს შეერთებული შტატების ამჟამინდელი ადმინისტრაცია?

— ბევრი ჩემი კოლეგის მსგავსად, ვინც ტრანს-ატლანტიკურ საკითხებზე მუშაობს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვღელავდით იმ ზოგიერთი განცხადების გამო, რომელიც პრეზიდენტმა რუსეთზე და ნატოზე გააკეთა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სასიამოვნოდ გაოცებული დამტოვა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებმა. აქ გამოვყოფდი საქართველოსთვის ჯაველინების მიყიდვის გადაწყვეტილებას, რასაც მე უკვე რამდენიმე წელია, ვემხრობი. ამ იდეას მხარდაჭერები ჰყავდა კონგრესში, როგორც რესპუბლიკელების, ასევე დემოკრატების მხრიდან.

— სტატიაში ერთ-ერთ ქვეთავს ჰქვია „გრძელი გზა ნატოსკენ“, ჩვენ ისევ ვაკაკუნებთ ნატოს კარებზე. არ ფიქრობთ, რომ ამ პერიოდში გარკვეული დაღლა, იმედგაცრუების განცდა ჩნდება?

— ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, საქართველოს ლიდერებმა დაიწყონ მოლოდინების მართვა. არც ერთ სხვა ასპირანტ ქვეყანას არა აქვს იმდენი ინიციატივა ნატოსთან, რამდენიც საქართველოს. ქართველებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სწორ გზაზე არიან. ვფიქრობ ქართველებმა მოთმინება უნდა გამოიჩინონ და ნატოს წევრობისთვის რამდენიმე წელიწადი მოთმენა ღირს.ამის პარალელურად შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა უნდა გააგრძელონ საქართველოს ალიანსში გაწევრიანებლად მხარდაჭერა.

— სტატიაში თქვენ მოგყავთ ნატოს გენერალური მდივნის ციტატა, რომ საქართველოს აქვს ყველა საჭირო პრაქტიკული მექანიზმი, გახდეს ნატოს წევრი. პრაქტიკულთან ერთად საჭიროა პოლიტიკური ნებაც, თქვენ ხედავთ ამ ნებას?

— ეს ნატოსთვის დიდი გამოწვევაა, და არა საქართველოსთვის. საქართველო ნატოსთან ყველაზე ახლოსაა. ეს არაჩვეულებრივია, მაგრამ არასაკმარისი.

ჩემი აზრით, არ იყო ჯანსაღი წევრობის სამოქმედო გეგმასთან — მაპთან დაკავშირებული მოლოდინები. ახლა ნატოს ყოველი სამიტის წინ ქართველებს მაპის მოლოდინი აქვთ. ბევრი ქვეყანა ნატოს მაპის გარეშე შეუერთდა. სანამ მაპის საკითხი არსებობს, რუსეთს შეუძლია ის პროპაგანდისთვის გამოიყენოს.

ბრიუსელის სამიტზე საქართველო მაპს ვერ მიიღებს, იმიტომ რომ ალიანსის ზოგიერთი წევრი თავს კომფორტულად არ გრძნობს. თუ იქნება მაპის მიღების მოლოდინი, რაც ბრიუსელში არ მოხდება, მერე ამას რუსეთი პროპაგანდისთვის გამოიყენებს. ნატოში გაწევრიანებას მაპი არ სჭირდება. თქვენ მაპი არ გჭირდებათ.

— რას უნდა ელოდეს საქართველო ბრიუსელის სამიტისგან?

— ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რას ველოდოთ. მე ვისურვებდი რუსეთის შესაჩერებლად ნატო გამოვიდეს აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო წარმომადგენლობის იდეით, ვისურვებდი გაფართოების პოლიტიკის გაგრძელებას და მაკედონიის მიღებას, ასევე ვისურვებდი საქართველოსთვის ცალკე კომუნიკეს მიძღვნას, რომელიც აღნიშნავდა, რომ ბუქარესტის სამიტიდან 10 წლის შემდეგ ნატო კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას.

კარგი იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების ნაცვლად, ნატო-საქართველოზე დისკუსიები სახელმწიფოების მეთაურების დონეზე გაიმართოს. კიდევ ერთი პრაქტიკული იდეა იქნებოდა, შავი ზღვის უსაფრთხოებაზე მომუშავე ნატოს ცენტრის გახსნა საქართველოში.

— სტატიაში თქვენ გამოდიხართ რეკომენდაციით, საქართველო დაჩქარებულად გახდეს ნატოს წევრი და კოლექტიური თავდაცვის შესახებ მეხუთე მუხლი არ გავრცელდეს ოკუპირებულ რეგიონებზე.

— ჩემი რეკომენდაციაა, ნატომ შეცვალოს მეექვსე მუხლი. მეექვსე მუხლი ხსნის იმას თუ ვისზე ვრცელდება მეხუთე მუხლით გარანტირებული კოლექტიური თავდაცვა. ამის შემდეგ საქართველო, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, შედის ნატოში. და მხოლოდ ნატოს მეხუთე მუხლი არ შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს მანამ, სანამ კონფლიქტი და ოკუპაცია მშვიდობიანად არ მოგვარდება.

ვფიქრობ, ეს პრაქტიკული, რეალისტური და პრაგმატული მიდგომაა, საქართველო დაჩქარებული წესით შევიდეს ნატოში. ეს რუსეთს გაუგზავნის ძლიერ მესიჯს, რომ მისი არალეგალური ოკუპაციებით ის ვერ შეაჩერებს საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ.

მინდა, ქართველებმა იცოდნენ, რომ ეს არ ნიშნავს ამ ტერიტორიებზე ხელის ჩაქნევას, მათზე უარის თქმას. ეს არის ნატოში შესასვლელად ყველაზე სწრაფი გზა.

— ამ პროცესში სად ხედავთ თვითაღიარებულ მთავრობებს?

— ცხინვალისა და აფხაზეთის მთავრობა უკანონო და არალეგიტიმურია, ჩემი აზრით, ის არც არსებობს. ამ პროცესში მათ არავინ უსმენს. ეს ეხება ნატოს და ქართველ ხალხს, ეს არ არის მარიონეტების რეჟიმის გადასაწყვეტი.

ეს არანაირად არ ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორიების მიტოვებას. ისევე როგორც საქართველოს მთავრობამ დადო პირობა ტერიტორიების დასაბრუნებლად ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ნატომაც უნდა დადოს პირობა, რომ არ გამოიყენებს თავის ძალებს და კოლექტიური თავდაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება, სანამ საქართველო ამ კონფლიქტებს მშვიდობიანად არ მოაგვარებს.

— როგორ ფიქრობთ, მთავრობა გაიღებს პოლიტიკურ ფასს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას შიდა პოლიტიკაში მოჰყვება?

— ამ თემაზე რამდენიმე დღეში თბილისში ვიმსჯელებთ. კარგად მესმის, რომ ეს ნებისმიერი არჩეული მთავრობისთვის დიდი გამოწვევა იქნება. ვაცნობიერებ, რომ ამას რუსეთი პროპაგანდისთვის გამოიყენებს. ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ არაფერია ადვილი.

თუ საქართველოს ნატოში მალე გაწევრიანება სურს, ჩვენ ამას პრაგმატულად უნდა მივუდგეთ. ახლა ნატოს წევრობას მისი ტერიტორიების ოკუპაცია აფერხებს. ეს აფრთხობს ნატოს წევრებს. სტატიაში ასევე ვამბობ, რომ მეხუთე მუხლის შეჩერება ცხინვალზე და აფხაზეთზე დროებითი მექანიზმია და ის ამ ტერიტორიებზეც მას შემდეგ გავრცელდება, რაც კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება.

ეს არანაირად არ ცვლის მიდგომას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. ყოველ დეკლარაციაში და შეხვედრაზე ნატო, როგორც ალიანსი, იმეორებს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ და ეს არ შეიცვლება.

ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია, საქართველო გავაწევრიანოთ ნატოში ჩემ მიერ შემოთავაზებული გზით.

— თქვენს მიერ შემოთავაზებულ იდეას აქვს საერთაშორისო დატვირთვაც და სცდება მხოლოდ საქართველოს საზღვრებს. რა პრეცედენტს აწესებს ეს სხვა ასპირანტი ქვეყნებისთვის, რომლებიც საქართველოს მსგავსად, ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევების წინაშე დგანან?

— ეს იქნება ძალიან ძლიერი მესიჯი რუსეთისთვის, რომ მისი უკანონო ოკუპაციებით და ანექსიით, დამოუკიდებელი ქვეყნის მისწრაფებებს ვერ შეაჩერებს, იქნება ეს საქართველოში, უკრაინაში თუ მოლდოვაში.

დღეს რუსეთი სუვერენულ ქვეყნებში შეჭრით აფერხებს ამ ქვეყნების ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. ეს უნდა დასრულდეს!

„ამერიკის ხმა“

ფრთხილად, შემთხვევითო პოლიტიკოსებო!..

რუსეთის იმპერია, ანუ საბჭოთა კავშირი — ორი პროგრესი

როგორც ცნობილია გასულ საუკუნეებში, რამდენიმე ქვეყანას, მათ შორის საქართველოს მაჰმადიანური სახელმწიფოების გამუდმებული თავდასხმების გამო სრული განადგურება ემუქრებოდა.. და ერობის შენარჩუნების მიზნით სტრატეგიულ სახელმწიფოსთან — რუსეთთან კავშირში გაერთიანება გადაწყვიტეს და აღასრულეს კიდეც.

შენიშვნა: ჩვენს სინამდვილეში, ქვეყნის სრული გაქრობის შიშით შეპყრობილმა მეფე ერეკლემ, — სამეფო „გუნდთან ერთად“, რუსეთთან ურთიერთობისათვის „მეგობრობითი ტრაქტატის“ ხელშეკრულება შეადგინა, რომელიც მოკლე დროში იქნა აღსრულებული, ანუ ამ გაერთიანებაში შესვლით ჩვენმა ქვეყანამ ფიზიკური არსებობა (მამული, ენა, სარწმუნოება) შეინარჩუნა.



ვაკონკრეტებ: რამდენიმე (16) სახელმწიფოს გაერთიანებით „რუსეთის იმპერია“ შეიქმნა, ანუ სახელწოდებით „უძლეველ-იმპერიაში“ შესვლით მილიონობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.. და მე-18 საუკუნეში სახელმწიფოთა კავშირის შექმნა ერთ-ერთ პროგრესად ითვლება, ანუ თითოეული, ყოფილი მოკავშირე სახელმწიფო ამ გაერთიანების დამსახურებით დღესაც აგრძელებს არსებობას.

...გავიდა წლები. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ტექნიკურმა პროგრესმა ატომური ომის დაწყების შიში და ძრწოლა ააბობოქრა.

...შიშის დასამარება მხოლოდ და მხოლოდ, შესაძლებელი იყო რუსეთის „უძლეველი — იმპერიის“ (საბჭოთა კავშირის) დაშლით... და რეიგანის, შევარდნაძის, გორბაჩოვის (სამთა სათათბიროს) სამოქმედო გეგმით, განსაკუთრებით „პერესტროიკის“, ანუ გარდაქმნის დაწყებამ საბჭოთა კავშირი უმართავი გახადა და მისი დაშლა ეტაპობრივად განხორციელდა... და მსოფლიომ, საბოლოოდ, ატომური ომის დაწყების შიში და ძრწოლა დაივიწყა.

დასკვნა: მსოფლიო ისტორიაში რუსეთის იმპერიის შექმნა თუ მისი დაშლა ორ უდიდეს პროგრესად ითვლება.

გვინდა სიმშვიდე?!

რუსეთის სახელმწიფოსთან (დიდი თუ მცირე ლაფსუსების მიუხედავად) ურთიერთობები უნდა აღვადგინოთ!!

წინააღმდეგ შემთხვევაში, კატასტროფული მოვლენები, თანდათან გაძლიერდება!!

ფრთხილად, შემთხვევითო პოლიტიკოსებო!!

ციური (ნუნუ) ცერცვაძე,
ყოფილი პედაგოგი.

ალბათ, ყველას გახსოვთ შესანიშნავი ფრანგული ფილმი — „ფანტომასი აბობოქრდა“. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში არსებული სიტუაცია, ზუსტად შეეფერება იმ ფილმის სახელწოდებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ როლებს შესანიშნავი მსახიობები ჟან მარე და ლუი დე ფიუნესი ასრულებდნენ. ჩვენთან კი „ასოები“, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და გაურკვეველი წარმონაქმნები, რომლებიც თავს რატომღაც „საზოგადოების წარმომადგენლებს“ უწოდებენ (მაგ: ვინმე ბაია პატარაია, კაპიტანი გიგაური, „ვნების პოეტი“ პაატა შამუგია დ.ა.შ), ბობოქრობენ.

მათი ბოლო აბობოქრება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრის, ჟურნალიტ გიორგი იაკობაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა პოსტმა გამოიწვია, რომელშიც ის ერთ-ერთ „ასო“-ს, ე.წ. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას „შეეხო“.

„დაიკიდეთ და გულზე მოგეშვებათ“!

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ არის ერთი ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (ასო), რომელსაც ჰყავს 311 წევრი-ხელმომწერი. არანაირი წონა და ავტორიტეტი სერიოზულ, ნორმალურ ჟურნალისტებს შორის არ გააჩნია. ამ 311 ხელმომწერიდან უმრავლესობა არის რეგიონიდან და მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია დონორებთან ურთიერთობა, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია ე.წ. ქარტიაზე ხელმოწერის გარეშე.

ანუ, თუ ზვიად ქორიძეს და სხვა ზვიადქორიძეებს ხელს არ აუწევენ და თავს არ დაუქნევენ, „კაი ჩიტს დაიჭერენ“. ასე რომ, შეეშვით მაგ ასო-ზე სტატუსების წერას და ქოთქოთს. ეგენი ისეთივე ჟურნალისტები არიან, როგორც ბულაძე-ტურაშვილი — მწერლები და ქეთათო-სტეფანე — მომღერლები.

დაიკიდეთ და გულზე მოგეშვებათ.

და, საერთოდ, ბოლომდე დაიკიდეთ ეს მესამე სექტორად წოდებული მეხუთე კოლონა. თქვენი ქოთქოთი მათ სივებში იწერება, აქტივობაში ეთვლებათ, რის გარეშეც ევროპაში დაფუძნებული და რუსეთიდან დაფინანსებული ფონდებიდან მსუყე გრანტებს კი არა, სამში თამამს მიიღებენ. ეს არის და ეს“, — წერს იაკობაშვილი.

* * *

„ასოების“ აბობოქრებას გამოეხმაურა ბლოგერი ლევან გობრონიძე, რომელმაც ასევე სოციალურ ქსელში საკმაოდ კარგი პასუხი გასცა გიორგი იაკობაშვილის „ცეცხლში დაწვის“ მსურველებს.

„სიტყვა „ასო“ არ აპატიეს ადამიანს, სამაგიეროდ პანიკა ატეხეს ზვიად რატიანზე და დაამხეს ქვეყანა, ვისი რა საქმეა, იგინებოდაო..

ტელეწამყვანი ლევან ჩხაიძე დაინტერესდა, ამ სტატუსის გამო უნდა გააგდონ თუ არა იაკობაშვილი სამსახურიდან, რასაც ბაია პატარაიამ შუშის თვალებით უპასუხა — აუცილებლად!..

მომდევნო ჩართვა ვნებების პოეტად წოდებულ პაატა შამუგიასთან იყო, ადამიანთან, რომელიც სასქესო ორგანოებზე და სპერმატოზოიდებზე წერს, პაატა აღშფოთდა, დაგმო, ასეთი წევრი ბორდში არ უნდა იყოსო, ეგ ბილწიო.

გადაცემაში ასევე ჩაერთო საზ. მაუწებლობის ბორდის კიდევ ერთი წევრი, ლატენტური ნაციონალი ქეთევან მსხილაძე, მან მთლად კოცონზე დაწვა არ მოითხოვა, მაგრამ მათრახის გატყლაშუნების იდეას მიემხრო“.

* * *

მართლაც ძალიან საოცარი სიტუაციაა არა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთოდ ქვეყანაში:

იკრიბებიან ე.წ. „არასამთავრობოები“, ე.წ. „მწერლები“, ე.წ. „საზოგადოების წარმომადგენლები“ და მსჯელობენ რაღაც გეგმაზე, რომელიც მიმართულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და მთავრობის წინააღმდეგ.

არადა, მაგარი სასაცილოა თიკუნები („კლიჩკა“, „პაგანიალა“) „არასამთავრობო“, „მწერალი“, „საზოგადოების წარმომადგენელი“, რომელიც თვითონ დაირქვეს (გაიხსენეთ „დათა თუთაშხია“, სადაც აღწერილია ერთი პატიმრის მცირე ისტორია, რომელმაც თავისი „პაიოკი“ სხვა პატიმარს დაუთმო იმიტომ, რომ მისთვის რაღაც პერიოდის გამნავლობაში „არიოლა“, (არწივა დაეძახა:).

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არა მარტო იმ ჟურნალისტებს, რომლებიც მათ ამ თიკუნებით მოიხსენიებენ, არამედ იმ „ასოებს“ და „საზოგადოების წარმომადგენლებს“, ამ „მწერლების“ დაწერილი, არც ერთი სტრიქონი არა აქვთ წაკითხული და ზუსტად ასევე, არც ამ „მწერლებმაც“ არაფერი იციან ამ „არასამთავრობოების“ და „საზოგადოების წარმომადგენლების“ ღვაწლის შესახებ.

საკმაოდ ნიჰილისტურია ნამდვილი საზოგადოების პოზიცია. უბრალოდ ვიტყვი, რომ მათ გააცნობიერეს ის, რომ ხელისუფლებამ თავად შექმნა ეს გაურკვეველი კასტა. მთავრობას ყველა კომისიაში შეყვანილი ჰყავს ამ კასტის წარმომადგენლები, დიდი მოკრძალებით და რუდუნებით ეპყრობა მათ. მონღოლების მიერ დაპყრობილი ხვარაზმელი გლეხივით ემორჩილება ნებისმიერ მოთხოვნას და მუდმივ შიშშია იმათ წინაშე.

და ჩამოყალიბდა აზრი, რომ ხელისუფლება ამ “ასოებისა“ და „საზოგადოების წარმომადგენლებისგან“ ქმნის ე.წ. ბარიერს, რათა ხალხის კრიტიკა მთლიანად მიემართოს მათ წინააღმდეგ.

ძალიან საინტერესო იყო პოსტი, რომელიც სოციალურ ქსელში ამ ორიოდე დღის წინათ გამოქვეყნდა და საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებას ეძღვნებოდა: **უკვე გვეშინია სააკაშვილისა და ნაცების მობრუნების, თუ არჩევნებამდე ჯერ ადრეა?**

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო გაიყო ორ ნაწილად, რომლის ერთ მხარეს დგას მთავრობა, „არასამთავრობოები“, „საზოგადოების წარმომადგენლები“ და „მწერლები“, ხოლო მეორე, გაცილებით უფრო დიდ მხარეს დგას საქართველოს მოსახლეობა, სამწუხაროდ, ნამდვილი საზოგადოების დიდი ნაწილი რჩება იმ მაყურებლის როლში, რომელსაც მომარაგებული აქვს ლუდი, პოპკორნი და არცთუ ისე საინტერესო ფილმივით უყურებენ იმ მცირე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს.

აღსანიშნავია, რომ პროცესების მართვის გენერალური შტაბი და ბაზა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ტერიტორიაზეა განთავსებული და ფაქტობრივად, იქიდან იმართება ყველაფერი. იქ წყვეტენ, თუ ვინ უნდა იყოს „ვარსკვლავი“, ვინ არის „ასო“, ვინ არის „საზოგადოების წარმომადგენელი“ დ.ა.შ.

ერთი მხრივ, ვითომდა საოცარია „რ-2“-ის გავლენა ისეთ მედიასაშუალებაზე, როგორიც რადიო „თავისუფლებაა“, მაგრამ მეორე მხრივ, პასუხი ძალიან მარტივია:

1. არსებული მედიის უდიდესი ნაწილის პიონერული „სწორება“ „უფროს ძმა — კომკავშირზე“, ანუ „რ-2“-ზე.

2. სიტუაცია, რომელიც ე.წ. „კოჰაბიტაციის“ შედეგად „დამყარდა“, ანუ არანაირი ცვლილება არა მხოლოდ პოლიტიკურ, თუ აღმასრულებელ სივრცეში, არამედ ის მეშჩანური ფობია, რომელიც საზოგადოების გემოვნების დამმკვიდრებელი ე.წ. „ვარსკვლავების“ მიმართ არსებობს. იმ „ვარსკვლავების“, რომლებიც მუდამ სხვადასხვა „შანაევთან“ იწვნენ“.

3. ის რომ, „რ-2“-ის ალტერნატიული მედია, ორიოდე ტელეკომპანიის და ბეჭდური მედიის გარდა, არ არსებობს. მოსახლეობა უბრალოდ სხვადასხვა გარეგნობის ტელეწამყვანებისგან ისმენს იმ თემებს, რომელსაც „რ-2“ წამოწევს და ისმენს იმ ინტერპრეტაციით, რომლის ფორმულასაც „რ-2“ იძლევა.

არის კიდევ უამრავი რამ, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელთა დარეგულირებაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია (სარეკლამო ბაზარი, დამოკიდებულება სხვადასხვა მედიასაშუალებებთან, სტუმრად მისვლის დიფერენციიდან დაწყებული, ბრიფინგების დროის ჩანიშვნით დამთავრებული).

ასე რომ, ბატონი დავით კაკაბაძის გათავისუფლება რადიო „თავისუფლების“ ქართული ბიუროს ხელმძღვანელის პოსტიდან, არც ისე საოცარი მოვლენაა (სახელმწიფო სტრუქტურებში კიდევ უფრო „საინტერესო“ პროცესები მიმდინარეობს).

საოცარი და საინტერესო იყო „რ-2“-ის ერთ-ერთი სახის აკაკი გოგიჩაიშვილის გადასვლა ტელეკომპანია „იბერიაში“. ამ ფაქტმა საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ეს რამდენიმე დღეა, ძალიან აქტიური განხილვა მიმდინარეობს და აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელმც თავისი საზიზღარი სიუჟეტებით დაგვამახსოვრა თავი, ვითომდა თავის მართლების რეჟიმში იძლევა ძალიან გულუბრყვილო პასუხებს:

„არ ვარ ნაციონალი და არც არასდროს ვყოფილვარ, ვიღაც რომ ღამე მიჰყავდათ და ქონების გადაფორმებაზე ხელს აწერინებდნენ, ასეთი ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა“.

* * *

„იძ არ არის მხოლოდ ფინანსური პრობლემები, კომუნიკაციისა და სუბორდინაციის პრობლემაცაა. მე განსხვავებას ვერ ვხედავ პრობლემაში, რომ ხარ პროსახელისუფლებო პლატფორმა, თუ ხარ რომელიმე პარტიული იდეოლოგიის მატარებელი, სრულიად ვერ ვხედავ განსხვავებას“, ამ შემთხვევაში „იმედზე“ ვსაუბრობდი, „რუსთავი-2“ გადახრილია და არც დაუმალავს არასდროს, მათ შორის მის ხელმძღვანელს, რომელიც ხმამაღლა გამოხატავს მკაფიო პოლიტიკურ პოზიციებს, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე ვფიქრობ, რომ ეს დარტყმის ქვეშ აყენებს ყველა იმ თანამშრომელს, რომელიც იქ მუშაობს, რომელსაც შეიძლება არც ჰქონდეს პოლიტიკური პრეფერენციები და როდესაც შენი დირექტორი მუდმივად ამას ტელევიზიის სახელით აკეთებს, ცხადია, დგები დარტყმის ქვეშ, რადგან ეს შენც გეხება და ან ხარ ამის გამზიარებელი, ან არა, თუ არ ხარ, მაშინ იქ არ უნდა იყო“, — აცხადებს გოგიჩაიშვილი.

ცხადია, გოგიჩაიშვილი არ არის ის ფიგურა, რომლის გარშემო უნდა ისაუბრო, მაგრამ ხელისუფლების დანაშაულებრივმა პასიურობამ, რომელიც უმთავრესად მსგავსი არსებებისთვის სასათბურე პირობების შექმნით გამოიხატება, მაიძულა, დამეწერა აღიარებითი ჩვენება, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

გია გაბრიჭიძის აღიარებითი ჩვენება:

მას შემდეგ რაც უამრავი დადებითი რამ მოხდა ქართულ ჟურნალისტიკაში და ბოლოს, რაც აკაკი გოგიჩაიშვილის გულის ამაჩუყებელი განცხადება წავიკითხე, ჩემში გაიღვიძა იმ ქიმერამ, რასაც ბატონი გერინგი „სინდისს“ უწოდებდა და გადავწყვიტე, მოვინანიო ის დანაშაული, რასაც 2005 წლიდან დღემდე ჩავდიოდი.

ვაღიარებ, რომ ვიყავი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გულმხურვალე მხარდამჭერი. ვიცოდი რა საზოგადოების საშინლად უარყოფითი დამოკიდებულება ჩემი სტატიების, გადაცემებისა თუ ფეისბუქ-პოსტების მიმართ, სპეციალურად ვამათრახებდი ამ უდიდეს პოლიტიკურ ორგანიზაციას, რათა ხალხის განწყობა მათ სასარგებლოდ წარმართულიყო.

2005-2006 წლებში ვიღებდი გადაცემას „შმატრული“ და ვწერდი მულტსერიალ „დარდუბალა-2“-ის სცენარებს, რომლებშიც ვცდილობდი, ქვეყნის პოლიტიკური კურსის მიმართ ხალხში სიყვარული გამომეწვია.

2006 წლიდან ვაქვეყნებდი პუბლიკაციებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, რომლებიც ჩემს მიმართ იწვევდა საზოგადოების აღშფოთებას და ისინი არსებული ხელისუფლების მხარდამჭერები ხდებოდნენ.

ასევე სხვადასხვა ბეჭდურ თუ ელექტრონულ გამოცემებში ვაქვეყნებდი სტატიებს, 2009 წელს №135 საკანში ვუშვებდი „ქუჩის გაზეთ შანსს“, 2010 წლიდან მედიაკავშირ „ობიექტივში“ მიმყავდა ტელეგადაცემები.

წინასწარგამიზნულად ცილს ვწამებდი ამ კეთილშობილ ხალხს, რადგანაც ვიცოდი, რომ ჩემს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ სითბოს დათესავდა.

არჩევნებზე ჩუმად ვხაზავდი ნომერ 5-ს და საჯაროდ ვაცხადებდი, რომ 5-იანი არასოდეს შემომიხაზავს.

ამ და ჩემს მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამო, რომელთა გააზრებამ ჩემში უდიდესი სულიერი ტკივილი გამოიწვია, რადგანაც გამახსენდა, თუ როგორ ებრძოდა „რ-2“ მაშინდელ რეჟიმს, როგორ აქვეყნებდა მიტინგებისა და ტელეკომპანიების დარბევის, ქუჩებში მკვლელობების, ბიზნესმენებზე ქონების წართმევის და სხვა მრავალი დანაშაულის ამსახველ სიუჟეტებს, მაშინ როცა მე პირიქით, იმ რეჟიმის ერთგული დამცველი გახლდით, საჯაროდ ვიხსნი ნიღაბს და ვდგები კუთხეში!..

დასჯის მიზნით, გთხოვთ, ხმამაღლა დამტუძსოთ — დუტ, მა მა მა მა!

გია გაბრიჭიძე

რამაზ საყვარელიძე:

პრეზიდენტობისთვის სერიოზული ბრძოლა იქნება

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ მარგველაშვილის მოქმედების სტილში არ იყო იმის ნიშნები, რომ პრეზიდენტობის ერთი ვადით დაასრულა პოლიტიკასთან ურთიერთობა. გამომდინარე იქიდან, რომ მარგველაშვილი პოლიტიკური პარტიის შექმნაზე და საპარლამენტო არჩევნებზე არ ზრუნავს, საყვარელიძის შეფასებით, სავარაუდოა, რომ ისევ პრეზიდენტის სასახლისკენ აიღებს გეზს. პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იქნება რთული.

— ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გასაღება, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვა და მათი შემოტანა-ტრანზიტი, ეკონომიკური, ფინანსური და სამოხელეო ხასიათის დანაშაულები — საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, არაძალადობრივ დანაშაულებთან მიმართებაში შეწყალების წესი იცვლება და უფრო ჰუმანური ხდება. პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამარტივება შეიძლება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყოს?

— მარგველაშვილის მოქმედების სტილში არ იყო იმის ნიშნები, რომ მან ამ პრეზიდენტობის ვადით მოათავა პოლიტიკასთან ურთიერთობა. არც ის ეტყობა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნაზე და საპარლამენტო არჩევნებზე ზრუნავს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ისევ პრეზიდენტის თანამდებობისკენ აიღებს გეზს. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიის დაწყებას, პოლიტიკოსმა პიარი სულ უნდა აკეთოს იმიტომ, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ითვლება პოლიტიკოსის აქტიურობა.

— მარგველაშვილის, როგორც პრეზიდენტის მოღვაწეობა არ არის დაცლილი პიარისგან...

— ასეც უნდა იყოს. ყველა თავის ნაბიჯს ბრიფინგების საშუალებით უხსნის მოსახლეობას. მოსახლეობასთან ასეთი დიალოგი უკვე პიარია. მცდელობა, რომ მოსახლეობამ გაიგოს, თუ რატომ გადადგა ესა თუ ის ნაბიჯი, ეს უკვე პიარია. ასე რომ, მარგველაშვილს ყოველთვის თან ახლავს ასეთი პიარი. არჩევნები ახლოვდება და ამიტომ ჩვენ ახლა გვახსენდება მისი აქტივობები და ვფიქრობთ, რომ შეიძლება არჩევნებისთვის ემზადება. მისი ქცევის სტილი დიდად არ შეცვლილა. საზოგადოებასთან დიალოგის სტილი ჰქონდა ადრეც და აქვს ახლაც.

რაც შეეხება ინიციატივას, წარსულში დაშვებული შეცდომები უნდა გამოსწორდეს, რომ სამომავლო შეცდომების პრევენცია მოხდეს. ამას, რა თქმა უნდა, საზოგადოება შეხვდება გაგებით და მიიღებს კიდეც ამ პოზიციას. კი ბატონო, ამ მხრივ პიარის ელემენტებს ატარებს, მაგრამ თავისთავად ეს ლოგიკური პროცესია.

— მარგველაშვილის პიარნაბიჯები ლოგიკური პროცესია, მაგრამ რომელი პოლიტიკური ჯგუფის მიერ შეიძლება იყოს მხარდაჭერილი მარგველაშვილი, როგორც კანდიდატი? ცნობილია, რომ ეს არ იქნება „ქართული ოცნება“...

— მომზადების თემაზე მოგახსენეთ და ვთვლი, რომ ყოველთვის ემზადებოდა. არხეინად არასოდეს ყოფილა. ყოველთვის აქტიური იყო, რაც მუდამ იქცევდა მისდამი ყურადღებას. რაც შეეხება მეორე საკითხს, პრეზიდენტს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს მთელ საკითხზე, მათ შორის დასავლეთის პოზიციაზე. კერძოდ, როგორია დასავლეთის შეფასება. მე მგონია, რომ ამ მომენტებს უწევს ანგარიშს მარგველაშვილი, ისევე როგორც ბევრი პოლიტიკური ჯგუფი და პოლიტიკური ფიგურა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ხშირად მარგველაშვილის ნაბიჯები დასავლეთის პოზიციით არის განპირობებული.

მოგეხსენებათ, რომ დასავლეთის დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ ჯერ კიდევ არ არის ერთმნიშვნელოვანი. „რადიო თავისუფლების“ გარშემო მიმდინარე პროცესი ანარეკლია ამ დამოკიდებულებისა. სავარაუდოა, რომ ამ ცვლილებებს პრეზიდენტი უკეთესად ხედავს და ითვალისწინებს საკუთარი პოზიციის დაკავებაში. როცა ჩვენ ვსაყვედურობთ, რომ იგივე პიჯაკების, თუ სხვა ამ ტიპის საქმეებზე მისი შეფასება სააკაშვილის დაცვა იყო, შეიძლება ეს სააკაშვილის დაცვა იმდენად არ იყო, რამდენადაც დასავლეთის პოზიციის გარკვევა.

მეორე მხრივ, ამ ბოლო ინიციატივით — ვინც გირგვლიანის საქმეში მიიღო მონაწილეობა პასუხი უნდა აგოს — უპირველეს ყოვლისა, ეს არის სააკაშვილის იმდროინდელი გარემოცვა და თვითონ სააკაშვილი. ეს ინიციატივა წორედ რომ სააკაშვილის მომხრეების წინააღმდეგ არის მიმართული. ასე რომ, ცალსახად რომელიმე ერთი მიმართულებით არ დგამს ხოლმე ნაბიჯებს. ამიტომ თქმა იმისა, თუ რომელ ჯგუფთან იქნება, საკმაოდ ძნელია. ასეთი გუნდი არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ.

— გუნდის გარეშე აქვს შანსი, მიიღოს მოსახლეობის მხარდაჭერა? ვგულისხმობ ხელისუფლებისადმი უკმაყოფილოდ განწყობილ მოსახლეობას და თუ NDI-ის კვლევას გავითვალისწინებთ, ციფრი მაღალია. ამომრჩევლის ამ ნაწილის ხმა საკმარისია იმისათვის, რომ მარგველაშვილი მეორე ვადით გახდეს პრეზიდენტი? ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ წაიღებს უკმაყოფილო ამომრჩევლის ხმას დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი თუ ირაკლი ალასანია...

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია და თქვენს მიერ განხილული ვერსიაც საფუძვლიანია. ბევრი დაიწყებს ნადირობას იმ ხმებზე, რომლებმაც მერის არჩევის დროს ელისაშვილს მისცა საშუალება, დაემარცხებინა ყველა ოპოზიციური კანდიდატი. დაინახეს, რომ ამ ელექტორატზე მუშაობა საკმაოდ პროდუქტიულია.

სავარაუდო იყო, რომ ამ ელექტორატისკენ გადადგამდა ნაბიჯებს ელისაშვილი და თუ ალასანია შემოდის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ამომრჩეველში ისიც ხელისუფლებისგან და ნაციონალებისგან დამოუკიდებელ კანდიდატად აღიქმება. არ არის გამორიცხული, მარგველაშვილიც ამავე ხმებზე იყოს ორიენტირებული. ასე რომ, დამოუკიდებელი კანდიდატობა საკმაოდ პროდუქტიული შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი პოლიტიკოსისთვის.

— როგორც წესი, საქართველოში ამომრჩეველი აქცენტს აკეთებს ახალ სახეზე. ახალ კანდიდატად შეიძლება მიიღოს ამომრჩეველმა ალასანია, რომელიც საარჩევნო პროცესში პოლიტიკური გუნდის გარეშე შემოდის...

— თუ პროცესებს დავაკვირდებით, ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან რთული საპრეზიდენტო არჩევნები. პრესტიჟის საქმეც არის, რომ პრეზიდენტის საგარძლისთვის გამართულ არჩევნებში მმართველმა გუნდმა გაიმარჯვოს იმიტომ, რომ თუ ვერ მოახერხა გამარჯვება, ეს იქნება ბზარი მის რეიტინგში. მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში, უფრო ადვილი იქნება მმართველი გუნდის წაქცევა. მაგრამ როცა ორი, ან სამი კანდიდატი შემოდის, ისინი ერთმანეთს ურთულებენ საქმეს, რაც მმართველი გუნდის კანდიდატისთვის იქნება მომგებიანი. რაც მეტი დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება, მით უფრო ნაკლებ ხმებს მიიღებს თითოეული და გამარჯვების შანსიც შეუმცირდება.

— რამდენად კონკურენტული იქნება საპრეზიდენტო არჩევნები?

— მე მგონია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იქნება რთული! შესაძლოა, გაიმარჯვოს კანდიდატმა, რომელიც არც ერთ პარტიას არ წარმოადგენს და ეს შექმნის მეორე სირთულეს. პარტიული გუნდი მაინც გარკვეულ პასუხისმგებლობას უქმნის ხოლმე ამა თუ იმ თანამდებობაზე ადამიანს. პარტიის მხარდაჭერის გარეშე თუ გავიდა, იქ წმინდა პარტიული მოტივები აღარ იმუშავებს, რაც რთულია.

სერიოზული ბრძოლა იქნება. არ ვიცით, ვინ იქნება ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგრამ არანაკლები ბრძოლა მოუწევს, ვიდრე კალაძეს. იქ რომ კალაძის რეიტინგი არ ყოფილიყო, შეიძლება ელისაშვილი კიდევ უფრო შორს წასულიყო და კალაძეც დაემარცხებინა. ანალოგიურად, აქაც ხელისუფლებას დაჭირდება კანდიდატი, რომელიც პიროვნული რეიტინგითაც არის ცნობილი მოსახლეობისათვის და არა მარტო პარტიულით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მმართველ გუნდს გაუჭირდება ბრძოლა.

— „დრო, საქართველოში დავასრულოთ შავი ჯიპების ეპოქა იმიტომ, რომ ყველას აღიზიანებს, მათ შორის, მეც“, — ამ ინიციატივით გამოდის გიორგი კვირიკაშვილი. ფაქტია ისიც, რომ შავი ჯიპების თემა არის საკითხი, რომელიც წლებია, მოსახლეობის გაღიზიანებს იწვევს, მაგრამ როდესაც მმართველი ძალა ხელისუფლებაში მოსვლიდან ხუთი წლის შემდეგ აკეთებს ამაზე აქცენტს, ეს უკვე ნიშნავს, რომ მარგველაშვილის მიერ დაწყებულ საარჩევნო კამპანიას უპირისპირდება? როგორ ფიქრობთ, ეს მოკლევადიანი ეფექტისთვის არის გათვალისწინებული და შესაძლოა, გრძელვადიან პრესპექტივაში სულაც არ იყოს ეფექტური?

— კომუნისტების დროს იყო შავი „ვოლგები“, ახლა არის შავი ჯიპები. თავისთავად, ანალოგიური განცხადებები საზოგადოებისთვის საყურადღებო განცხადებებია, ხშირად კეთდება ამ შინაარსის განცხადებები, მათ შორის, კვირიკაშვილის მიერ და ხშირად იმას ჩივიან, რომ განცხადება კეთდება და საქმე არ მოჰყვებაო. გახსოვთ, პენსიების მომატებაზე და მგზავრობის საფასურის დაკლებაზეც იყო დაპირება, მაგრამ ისევ იგივე სიტუაცია გვაქვს. ახლა ჯიპების თემა წამოვიდა, თუ პრობლემა გადაწყდება — კარგია. პრობლემები არის, მაგრამ ჯერჯერობით საქმე არ ჩანს.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ვერაფერი მონახეს და ვერც მონახავენ!

პაატა ბურჭულაძე საქართველოში **დაბრუნდა. საოპერო მომღერალი ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს სასაცილოს უწოდებს და მზადაა, გამოძიების ყველა შეკითხვას უპასუხოს.** კითხვაზე, რამდენად შეიძლება გამოძიების დაწყება წარსულში მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს, პაატა ბურჭულაძის თქმით, „რა თქმა უნდა, უკავშირდება და მარტო ამას არა, სხვა რამეებსაც“.

„უნდა მორჩეს ეს უმსგავსობა, რაც ხდება საქართველოში. მე მზად ვარ, ვუპასუხო ყველა შეკითხვას და მეც მაქვს შეკითხვები პროკურატურასთან. რა დანაშაული უნდა იყოს?! სიკეთის მეტი რა გაუკეთებია მაგ ფონდს? სასაცილოა. ხუთი თვე არის უკვე პროკურატურას საბუთები აქვთ ჩვენი წაღებული და ვერაფერი მონახეს და ვერც მონახავენ. მე ძალიან გული მწყდება, რომ პროკურატურა ჩაითრიეს ამ საქმეში“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ. ბურჭულაძეს სავარაუდოდ, 9 თებერვალს დაკითხავენ.

პროკურატურაში საზოგადოებრივ მაუწყებელში თანხების შესაძლო გაფლანგვაზე გამოძიება დაიწყო

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან გადმოგზავნილი შემოწმების მასალების საფუძველზე, მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს გამოძიება. საქმე ეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილი თანხების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის შესაძლო ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის, მიხედვით 2015-2016 წლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის ყოფილი წევრი ლელა გაფრინდაშვილი 5 თვის განმავლობაში ზედმეტ ჰონორარს უსაფუძვლოდ იღებდა იმ დროს, როდესაც მაუწყებელში საერთოდ აღარ მუშაობდა. თანხამ, ჯამში, 12 800 ლარი შეადგინა, რომელიც აუდიტის ცნობით, უკან დაბრუნებას ექვემდებარება. ჯერჯერობით უცნობია როდის დაკითხავენ საზოგადოებრივის მაუწყებლის ბორდის წყოფილ წევრს, ყოფილ დირექტორს და მთვარ ბუღალტერს.

„ბადაგონში“ უკანონოდ წილების მითვისებაზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში 2018 წლის 18 იანვარს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, შპს „ბადაგონის“ მიერ დიდი ოდენობით წილის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შპს „ბადაგონის“ ყოფილი მეწილის, კომპანია „გრაკორო ტრეიდინგ ლიმიტედის“ წარმომადგენლის განცხადება.

საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და ზემოაღნიშნული საკითხების დადგენის მიზნით, 2018 წლის 1 თებერვლის სასამართლოს განჩინების საფუძველზე ქალაქ თბილისში მდებარე შპს „ბადაგონის“ ოფისში მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. კერძოდ, დოკუმენტაციის ამოღება და ელექტრონული ინფორმაციის გამოთხოვა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებით ხელი არ შეეშლება კომპანია „ბადაგონის“ საქმიანობას.

უმაღლესი განათლების პრობლემები

კომუნიკაციის დეფიციტი

სამინისტრო, რექტორატები, აკადემიური საბჭოები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ღებულობენ განათლების სისტემის უპირველესი „მოთამაშის“ — პედაგოგის, პროფესორის მონაწილეობის გარეშე. მმართველი ბიუროკრატია შორსაა რეალობიდან, იმ „ნიუანსებიდან“, რომლებიც დრო და დრო თავს იჩენენ სასწავლო პროცესში. კომუნიკაცია იერარქიულია. სამინისტრო — რექტორატები — აკადემიური საბჭოები ღებულობენ კორექტირებულ რეალობას, რომელიც შეჯერებულია სამსახურებრივ ინტერესებთან და ვერ ასახავენ ობიექტურ სურათს, ატმოსფეროს, განწყობილებას, რომელიც სუფევს ქვემოთ, „ცეხში“, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, სადაც წყდება განათლების ხარისხის ბედი.

ჩემს 60-წლიან პრაქტიკაში მე არ მახსენდება თუნდაც ერთი შემთხვევა არა თუ სამინისტროს, არამედ რექტორატის წარმომადგენელს უშუალოდ მოესმინა პედაგოგ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მოსაზრებები მუდმივად ცვალებად პრობლემებზე.

ყალბი ღირებულებები

დღეს განათლების სისტემა გაძეძგილია სიყალბეებით, სერტიფიკომანიით, ინტერნეტული მასალის საავტოროდ გასაღების ეპიდემიით, არამეცნიერული, უსარგებლო პუბლიკაციებით, რაც, ხშირ შემთხვევაში, ქმნის ფორმალურ, ქაღალდის რეალობას. დიდად სამწუხაროდ, ამ ყალბი, ქაღალდის ღირებულებებს ახალგაზრდები ადრეული წლებიდან ითვისებენ და საბაკალავრო კურსის დამთავრებასთან ერთად აქვთ „დამსახურებათა“ გრძელი ჩამონათვალი „მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად“.

ვინ ასწავლის დღეს უნივერსიტეტში?

არის თუ არა დღევანდელი „პროფესორი“ ორიენტირი, მოძღვარი თუ პროფესორის რეპუტაციის მკვეთრ ვარდნას აქვს ობიექტური საფუძველი? სამწუხაროდ, აქვს. ამისთვის პოსტსაბჭოთა საქართველოში ყველაფერი გაკეთდა.

გადამწყვეტი როლი რამდენიმე ფაქტორმა შეასრულა.

პირველი და უმთავრესი — დღეს არ არსებობს პედაგოგიური სრულყოფის არც მატერიალური, არც მორალურ-ეთიკური მოტივაცია. პედაგოგი, პროფესორი საზოგადოების ფასეულობათა სისტემაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. პედაგოგობა არ არის ღირსების პროფესია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველამ დაირქვა პროფესორი და აკადემიკოსი. რაც უმთავრესია, მასწავლებლობა ერთ-ერთ დაბალააზღაურებად პროფესიად იქცა, ხოლო დღეს მატერიალური მდგომარეობა გაიგივებულია იმავდროულად პრესტიჟთან.

გაუქმდა თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითი, არქიტექტურულ-ურბანული და საპროექტო ინსტიტუტი, რომელიც იყო უმაღლესი სკოლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ბაზა და დონორი.

პრობლემები შეექმნა სახელოვნებო სკოლებს, მათ შორის არქიტექტურულსაც. მნიშვნელოვნად შემცირდა „ოსტატთა“ პედაგოგიური მოღვაწეობა, მათი ადგილი დაიკავეს ახალგაზრდა „აკადემიურმა დოქტორებმა“, რომელთაც პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება არა აქვთ, ხოლო სამეცნიერო დონე „აკადემიური დოქტორით“ განისაზღვრება, რაც საბჭოთა პერიოდის „მეცნიერების კანდიდატზე“ ბევრად დაბალია! მრავალი ახალგაზრდის „მეცნიერება“ იწყება და მთავრდება საკვალიფიკაციო ნაშრომით, რომელიც სამუდამო გარანტი აღმოჩნდა უმაღლეს სკოლაში დამკვიდრებისთვის.

სახელოვნებო სასწავლებლის სახეს, რენომეს, ღირსებას ოსტატები ქმნიდნენ. ეს აქსიომაა, ამას ვერ შეცვლი, სკოლას ოსტატის სახელით იხსენიებდნენ, ოსტატისადმი პატივი მკაფიოდ იყო გამოხატული. დღეს საქართველოში ოსტატისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. „აკადემიური დოქტორის“ ხარისხი მნიშვნელოვნად მეტია, ვინემ უმაღლესი პროფესიული მიღწევა, აღიარება, საერთაშორისო პრემიები და აკადემიების წევრობა და სხვა.

წავიშვანტაზიორობ. დავუშვათ, საქართველოს ორმა სახელოვანმა არქიტექტურულმა სკოლამ — ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და სამხატვრო აკადემიამ დაითანხმა ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ბრუნელესკი, ბრამანტე, უფრო ახალგაზრდები — ფ. ლ. რაიტი, ლე კორბუზიე, ანტონიო გაუდი, პიკასო, ჰო, ოსკარ ნიმეიერი არ გამომრჩეს, უზარმაზარი ქვეყნის, ბრაზილიის დედაქალაქი რომ დააპროექტა, იმოღვაწეონ ჩვენს სკოლებში, რას გადაუხდით? მაქსიმუმ 4.7 ლარს ერთ საათში. ეს კაზუსი გაგრძელდება, სანამ ლეონარდო და მიქელანჯელო აკადემიური დოქტორის ხარისხს არ დაიცავენ, თუმცა ამის შემდეგაც არ იქნებიან დალხენილი.

სანამდე შეიძლება მივიდეს სიბეცე, „ბუკვაედობა“. როგორ ვაღწევდით მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონკურსებზე, სადაც მსოფლიოს ასეულობით არქიტექტურული სკოლები მონაწილეობდა, წარმატებებს, ზოგჯერ სრულიად ექსტრაორდინარულს? (სერჟი პონტუაზის კონკურსები, შინდლერის კონკურსი, სადაც 350 სტუდენტურ პროექტ შორის სამივე ნომინაციაში ჩვენი სკოლის სტუდენტებმა გაიმარჯვეს, რაც კონკურსის დირექტორატის მიერ „განსაკუთრებული“ ფულადი პრემიით აღინიშნა და სხვა და სხვა).

სახელოვნებო სკოლების წარმატებაში ოსტატთა წვლილი განუზომელია.

ჩვენი საშველი არ იქნება, სანამ არ მივხვდებით, რომ აკრძალვები არ არის გამოსავალი, რომ მართვის ცენტრალიზაცია დამღუპველია, რომ საჭიროა ყველა რგოლის გონივრული და რეალური ავტონომია, ინტერესთა თანხვედრა და მოტივაცია.

ჩვენს არქიტექტურულ სკოლებს ჯერ კიდევ შემორჩნენ „ძველი კადრები“, პრაქტიკოსი არქიტექტორები, მათში ჯერ კიდევ დიდია საბჭოთა მენტალობა, „ასეა საჭირო ქვეყნისთვის“. რა იქნება მათ შემდეგ? ახალგაზრდებს კაბალურ პირობებზე ვერ შემოიტყუებ. გვქონდა მცდელობები, მაგრამ თავაზიანობის, მშობლიური სკოლისადმი პატივისცემის და პირადული „ხათრის“ პერიოდმა, მხოლოდ ერთი წელი გასტანა. ყველა გაიქცა.

სახელოვნებო დარგების, მათ შორის არქიტექტურის სწავლების პრინციპები, განსხვავებით ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ტექნოლოგიურისგან, უაღრესად ტრადიციულია.

ხარისხი თუ რაოდენობა? დროა, მოვეშვათ სირაქლემობას

მახსენდება ერთი საბჭოთა ანეკდოტი: წარმატებულ კოლმეურნეობაში მიიყვანეს სტუმარი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. კითხვა: რამდენ ლიტრ რძეს აძლევს თქვენი ფერმა სამშობლოს? — 2000 ლიტრს, ბატონო, დღეში. — 2200 თუ შეგიძლიათ? — შევძლებთ, ბატონო! — 2500? კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩაფიქრდა. — შევძლებთ, ბატონო. — 3000? — უმატებს სტუმარი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ — შეგვიძლია, მაგრამ მთლად წყალი იქნება, აღმოხდა სიმართლე თავმჯდომარეს.

ეს ანეკდოტი ზუსტად ესადაგება სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა დღევანდელ მდგომარეობას. წლიდან წლამდე მატულობს

ვახტანგ დავითაია:

რა ღირს ლეონარდო და ვინჩის ერთი საათი?

დროა მოვეშვათ სირაქლემობას, სიცრუეს, სიყალბეს, წყლის ნაყვას, ალქიმიკოსობას — შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ვერ იქნება უმაღლესი განათლებით, ყველა ვერ შეძლებს სწავლის დაფინანსებას, მაგრამ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ალტერნატივები, შეთავაზებები, გრძელვადიანი სესხები და სხვა, რათა თითოეული მოქალაქე იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო, ღირსეული, საჭირო და თავქუდმოგლეჯილი არ გარბოდეს საზღვარგარეთ. ეს შესაძლებელია, ამას სჭირდება გონიერი, მოაზროვნე, უნარიანი ხელმძღვანელები, დოგმების დაძლევა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 26

არა მგონია, რაიმე განსხვავება იყოს კონსერვატორიებში მოცარტის პერიოდში „სწავლების“, უფრო სწორად წვრთნის, მეთოდებსა და დღევანდელს შორის. ლაპარაკია პრინციპზე, არსზე და არა ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარეზე. **მარადიულია პრინციპი: არის ოსტატი, არის შეგირდი. ესაა „სწავლების“ უნივერსალური ფორმულა.**

არა მგონია, განსხვავება იყოს ფერწერა-ქანდაკების სწავლებაში ფიდიასის, მიქელანჯელოს, როდენის პერიოდების და დღევანდელ სამხატვრო სკოლებში, ლაპარაკია პრინციპზე და არა ინფორმაციისა და გამოცდილების მრავალფეროვნებაზე. **არის ოსტატი და არის შეგირდი.**

არ შეცვლილა არქიტექტურის სწავლების პრინციპი — რენესანსის, „ვხუტამასი“ —„ბაუჰაუზის“ პერიოდის და დღევანდელი არქიტექტურული სკოლების. ლაპარაკია ისევ პრინციპზე და არა პროექტირების ტექნოლოგიებსა და ვიზუალურ საშუალებებზე. დღეს მეც და ჩემი კოლეგებიც ახალგაზრდებს იმავე პრინციპებით ვწვრთნით, როგორითაც გვწვრთნიდნენ ჩვენ 50-60 წლის წინათ ბატონები მიხაკო შავიშვილი, ირაკლი ციციშვილი, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, გიორგი ლეჟავა, ლადო მესხიშვილი, მიხეილ გარაყანიძე, რუბენ ავაბაბიანი, შოთა ყავლაშვილი, გივი მელქაძე, სხვები. უცვლელია ოსტატი-შეგირდის ტანდემი.

სახელოვნებო დარგებში განსაკუთრებულია პირადი მაგალითი, ოსტატის შემოქმედება, პროფესიული რენომე, ჩვენება.

სახელოვნებო სკოლებს ჰაერივით სჭირდებათ ოსტატები, მოძღვრები. მათ მიმართ დამოკიდებულებაც უნდა იყოს განსაკუთრებული. „მოწვეული“ თავისთავად ნიშნავს განსაკუთრებულს და ეს უნდა აისახოს მატერიალურად, მორალურად.

ხარისხი თუ რაოდენობა? დროა, მოვეშვათ სირაქლემობას

მახსენდება ერთი საბჭოთა ანეკდოტი: წარმატებულ კოლმეურნეობაში მიიყვანეს სტუმარი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. კითხვა: რამდენ ლიტრ რძეს აძლევს თქვენი ფერმა სამშობლოს? — 2000 ლიტრს, ბატონო, დღეში. — 2200 თუ შეგიძლიათ? — შევძლებთ, ბატონო! — 2500? კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩაფიქრდა. — შევძლებთ, ბატონო. — 3000? — უმატებს სტუმარი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ — შეგვიძლია, მაგრამ მთლად წყალი იქნება, აღმოხდა სიმართლე თავმჯდომარეს.

ეს ანეკდოტი ზუსტად ესადაგება სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებელთა დღევანდელ მდგომარეობას. წლიდან წლამდე მატულობს დატვირთვა, ყვავის ბიუროკრატია, ადმინისტრირება სულ უფრო ციფრულ ფორმებს ღებულობს, გვიცქერს ვიდეოთვალი. კომპიუტერულ აღრიცხვას სოლიდური დრო მიაქვს, რომელიც ოფიციალურ დატვირთვაში არ შედის და რაც უმთავრესია — უკიდურესად დაბალია ხელფასები, რომელიც გაყინულია და არ რეაგირებს ინფლაციურ პროცესზე.

მშობლიურ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელთანაც 65 წელი მაკავშირებს, განათლების უმაღლესი იერარქიის, პროფესორის ხელფასი 970 ლარია (ხელზე), ანუ იმდენი, რამდენიც სანაგვე მანქანების მომსახურე სანიტარიული მუშაკის.

ცნობისათვის: აშშ-ის ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობისას ჩემი თვიური ხელფასი 8 500 აშშ დოლარი იყო (დაქვითვის გარეშე), კოტეჯი სრული კომუნალური მომსახურებით, მანქანა მოთხოვნით, რომ არაფერი ვთქვათ იდეალურ სამუშაო პირობებზე.

ვეკითხები მთავრობას, პირადად ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, უნდა ჰქონდეს თუ არა სახელმწიფოს შრომის ანაზღაურების ერთიანი პოლიტიკა, თუ მოქმედებს პრინციპი — ვინ როგორ ჩააწყობს. შეიძლება, საქართველოს რკინიგზის „გენერალური დირექტორის“ ხელფასი 15-16-ჯერ აღემატებოდეს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასს, რა, ჰერკულესია, - თვითონ ექაჩება მთელ შემადგენლობას? რატომაა სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოების წევრთა ხელფასები 8-10-ჯერ მეტი პროფესორის ხელფასზე? ამ ბოლო თვეებში პრესაში სამინისტროების და მერიების სახელფასო მონაცემი გამოქვეყნდა. არც მინისტრები და მერები უჩივიან უმადობას.

კიდევ უფრო გამაოგნებელია ის, რომ სახელმწიფო, თურმე, აფინანსებს 20-მდე პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის, პარტიებს, რომლებმაც 0.1 პროცენტიც ვერ აიღეს არჩევნებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, რამდენიმეკაციანია, ხოლო მათი მთავარი საქმიანობა ხელისუფლების კრიჭაში დგომაა.

ხელისუფლებამ პირდაპირ უნდა განაცხადოს, რა უნდა — ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი განათლება თუ რაოდენობა, რეალური ხარისხი თუ განათლების ილუზია. არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ: სახელმწიფო ორიენტირებულია რაოდენობისკენ, რაც იმავდროულად ნიშნავს ნაკლებ დროებით უმუშევარს, მეტ-ნაკლებად კონტროლს დაქვემდებარებულ ახალგაზრდობას. იკვეთება სოციალური მოთხოვნების პრიმატი განათლების ხარისხზე. ვერც „ბოლონიის პროცესი“, ვერც ჰარვარდის, ოქსფორ-



ეს ყველაზე დიდი სახლია ტფილისში!..

„ეს შენობა კლდიაშვილისათვის ძეგლია, მისი საუკეთესო ნაწარმოებია...“

დის, პრინსტონის, სორბონის მართვის სისტემის, სტრუქტურის, მეთოდოლოგიის გადმოღება შედეგს ვერ მოგვცემს, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის სწავლის წლიურ ღირებულებად დაწესებული აქვს 2225 ლარი, ამაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი, არამედ მთელი სასწავლო ინფრასტრუქტურა.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს „განსჯისათვის“. ვიცი, იტყვიან, მოინდომა რა...

პრინსტონის (აშშ) უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა მხოლოდ 8-10 პროცენტი ხვდება უნივერსიტეტში. დანარჩენ 90 პროცენტს თვლიან „შეუსაბამოდ“. რამდენ პროცენტს ვთვლით ჩვენ „შეუსაბამოდ“? – კალთასაც კი დავაგლეჯთ, ოღონდ შემოვიდეს და 2 225 ლარი შემოიტანოს. ჩემი პრაქტიკიდან შემიძლია დავასკვნა: არქიტექტურის სპეციალობაზე ჩარიცხულთა 70 პროცენტი ამ პროფესიისთვის „შეუსაბამოა“.

პრინსტონში სწავლის წლიური ღირებულება 37 000 დოლარია. ამას ემატება საერთო საცხოვრებლის და კვების 12 000 დოლარი. მოთხოვნები მაღალია, შედეგებიც – უნივერსიტეტდამთავრებულთა შორის 35 ნობელის პრემიის ლაურეატია.

ბარემ აქვე აღვნიშნავ, ჰარვარდის უნივერსიტეტდამთავრებულთაგან 75 ნობელის პრემიის ლაურეატია, ხოლო 8 – შეერთებული შტატების პრეზიდენტყოფილი.

კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლის ღირებულება დიფერენცირებულია. ყველაზე ძვირადღირებული მედიცინა და ვეტერინარიაა – 28 000 ფუნტი სტერლინგი, რაც დაახლოებით 40 000 დოლარია, პლუს 8 000 ფუნტი სტერლინგი საერთო საცხოვრებელი და კვება. კემბრიჯის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია, მასზე არ შევჩერდებით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს თანხები ყველა ნიჭიერისთვის ხელმისაწვდომი არ არის, ამისათვის არსებობენ სხვადასხვა ფონდები, გრანტები, სახელმწიფო შემწეობები, გრძელვადიანი სესხები და სხვა.

დროა, მოვეშვათ სირაქლემობას, სიცრუეს, სიყალბეს, წყლის ნაყვას, ალქიმიკოსობას – შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა ვერ იქნება უმაღლესი განათლებით, ყველა ვერ შეძლებს სწავლის დაფინანსებას, მაგრამ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ალტერნატივები, შეთავაზებები, გრძელვადიანი სესხები და სხვა, რათა თითოეული მოქალაქე იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო, ღირსეული, საჭირო და თავქუდმოგლეჯილი არ გარბოდეს საზღვარგარეთ. ეს შესაძლებელია, ამას სჭირდება გონიერი, მოაზროვნე, უნარიანი ხელმძღვანელები, დოგმების დაძლევა.

უხარისხო განათლება უხარისხო წამალია, რომელიც გარდაუვალ ლეტალურ შედეგს იწვევს. საჭირო გახდება მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღებაც.

როგორ ფუნქციონირებენ ასეთ პირობებში უმაღლესი სკოლები? ეკონომიკურად უმწეო პედაგოგ-მასწავლებლები, რომელთა ცხოვრების წესი და ინტერესები სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებას ვერ შეეწყო, იმის შიშით, რომ არ დაკარგონ შემწეობა, ყველაფერზე თანხმდებიან. სახელმწიფო უნამუსოდ სარგებლობს ამით. პროფესორ-მასწავლებლების დღევანდელ ყოფას არ ახლავს სიამაყისა და ღირსების შეგრძნება, პროფესორის მატერიალური მდგომარეობა შორსაა თუნდაც საბჭოთა პერიოდისგან. ამიტომაც განათლების ხარისხიც ზუსტად ისეთია, როგორც ანაზღაურება, ანუ ისეთი, როგორც ზემოხსენებული ანეკდოტის 3 000 ლიტრი რძის პირობებში.

რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, მოსახდენი უნდა მოხდეს. პრინციპულად, მენტალურად, სახელმწიფოებრივად უნდა შეიცვალოს განათლების პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მისი დაფინანსირების საკითხები, რომლის გარეშეც ხარისხის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ზოგიერთ კერძო უნივერსიტეტებში სწავლების ღირებულება 4-5-ჯერ უფრო მაღალია. მ. შ. თანამედროვე ეტაპზე, საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილს აქვს მატერიალური რესურსი, რომლითაც მხოლოდ კერძო უნივერსიტეტები სარგებლობენ...

წერილის **სათაურად გამოტანილი ეს სიტყვები დიდ ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნის. დღეს, როდესაც ჩვენი დედაუნივერსიტეტის დაარსების საუკუნოვან იუბილეს აღვნიშნავთ, უპრიანი იქნება, ამ შენობის დამპროექტებლისა და ამგების სახელიც გავიხსენოთ, რა თქმა უნდა, ყველა იმ მამულიშვილის სახელთან ერთად, ვინც იგი ჩაიფიქრა და განახორციელა კიდეც.**

სვიმონ კლდიაშვილი თავისი მშობლების 11 შვილიდან მესამე იყო, რომელიც 1865 წლის 2(14) თებერვალს დაიბადა თავის დედულეთში, სოფ. ქვიშხეთში. დედა ეფრო (ეფროსინე) ყიფიანი-კლდიაშვილისა პირველი ქართველი მსახიობი ქალი, დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმის, ქაიხოსროს ასული იყო, ხოლო მამა – გრიგოლი, სიმონეთელი კლდიაშვილების ერთ-ერთი სახელოვანი ოჯახის წარმომადგენელი.

ეფრო კლდიაშვილის სახელი შესულია ქართული თეატრის ისტორიაში და უკვდავყოფილია დიდი აკაკისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ნაწერებში, ხოლო პოლკოვნიკ გრიგოლ კლდიაშვილის ღვაწლი, როგორც ზემო სვანეთის ბოქაულისა და იქაური მოსახლეობის გულშემატკივრისა, კარგად არის წარმოჩენილი ცნობილი პუბლიცისტის ბესარიონ ნიჟარაძის („თავისუფალი სვანის“) მადლიერებით აღსავსე წერილში, რომელიც გაზეთ „დროებაშია“ დასტამბული.

გრიგოლ და ეფრო კლდიაშვილების ახალშექმნილი ოჯახი XIX ს-ის 60-იანი წლების შუახანებში მუდმივ საცხოვრებლად სიმონეთიდან ქუთაისში გადავიდა და იქ, მესხეთის ქუჩაზე, მესხების ცნობილი ოჯახის მეზობლად დასახლდა, თუმცა მშობლიურ სიმონეთთან კავშირი არასდროს გაუწყვეტიათ. ამაში განსაკუთრებული დამსახურება ოჯახის დედას – სიმონეთელთა საყვარელ რძალს ეფროს მიუძღოდა. ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო მძაფრი გახდა მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა და შვილების სწავლა-აღზრდის საქმე მას დააწვა მხრებზე... აქვე ვიტყვით, რომ მის გარჯას უშედეგოდ არ ჩაუვლია – ერთმანეთზე სასახელო შვილები აღუზარდა სამშობლოს...

სვიმონს ქუთაისის კლასიკური გიმნაზია დაუმთავრებია და თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში გაუგრძელებია სწავლა. ხატვისათვის განსაკუთრებული ნიჭი მას გიმნაზიაშივე გამოუჩენია და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვში გამგზავრების სურვილი გამოუთქვამს. მაგრამ ერთი იყო სურვილი და მეორე მისი აღსრულების შესაძლებლობა, რაც უმამოდ დარჩენილი ოჯახისათვის იოლი როდი იყო. ამაში კი ქუთაისის ქალაქის საკრებულო დახმარებია, რომლის თავმჯდომარეც იმჟამად ლუკა ასათიანი იყო. სწორედ საკრებულოს გადაწვეტილებით მისცემია სვიმონს შესაძლებლობა, მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში მიეღო სპეციალური განათლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ განსწავლის შემდეგ მშობლიური ქალაქის სამსახურში ჩადგებოდა.

მოსკოვში ჩასული სვიმონისთვის, ეკონომიკური სიძნელეების გამო, არც ისე სასურველი მიმართულებით განვითარებულა მოვლენები და იძულებული გამხდარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისათვის მიემართა თხოვნით, როგორც შესაძლებლობას მოკლებული, ღარიბი მოსწავლისათვის, დახმარება აღმოეჩინათ.

იმ ხანებში, გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ ინფორმაციაში ნათქვამია: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „წერა-კითხვის საზოგადოება“, ეს ჩვენი განათლების სამინისტრო, სრულს ყურადღებას მიაქცევს ს. კლდიაშვილის თხოვნას... შემწეობა მით უფრო საჭიროა, რომ ს. კლდიაშვილი უამისოდ იძულებული შეიქმნება სწავლას თავი დაანებოს და, ვინ იცის, იქნება თავისი მხატვრობის ნიჭი სრულიად უსარგებლოდ მიწაში დაფლას“-ო. (იხ. „დროება“, №162, 1884 წ.).

ჩვენ არ ვიცით, რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა გაზეთის ამ გამოსვლას, მაგრამ ფაქტია, რომ სვ. კლდიაშვილმა 1895 წელს შეძლო მოსკოვის ხსენებული სასწავლებლის ვერცხლის მედალზე დამთავრება, რის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულია, რომ ამ-ერიდან მისი მფლობელი იყო: „Классниый художник архитектуры с представлением ему по сему званию права по чин XIV класса и с правом производить построики“.

ასევე ისიც საინტერესოა, აღინიშნოს, რომ სვიმონისათვის, როგორც წარმატებული სტუდენტისათვის, უფლება მიუციათ საწარმოო პრაქტიკა გაევლო ქალაქების მოსკოვისა და კოსტრომის მშენებარე ობიექტებზე, სადაც თვიურად თუმანი გასამრჯელო ჰქონია დანიშნული.

წარმატებით კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი პირობის თანახმად მშობლიურ ქუთაისს უბრუნდება და ქალაქის არქიტექტორის თავისუფალ ადგილზე დანიშვნას მოითხოვს, მაგრამ ქალაქის საკრებულოს ხმოსანთა მხრიდან დიდ უსამართლობას აწყდება. თუ რას, ამის თაობაზე დაწვრილებით არის მოთხრობილი გაზეთ „კვალის“ საყურადღებო ამბების განყოფილებაში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში:


სვიმონ კლდიაშვილი

„ქუთაისის ხმოსნებს მარტის შუა რიცხვებში კრება ჰქონდათ. ამ კრებაზე უნდა გადაეწყვიტათ მიღება ს. კლდიაშვილისა ქალაქის „არხიტექტორის“ თანამდებობაზე. ს. კლდიაშვილმა კურსი მოსკოვში გაათავა... კლდიაშვილისათვის სავალდებულო იყო ქალაქისათვის ემსახურა. ქალაქიც ამ მიზნით აძლევდა შემწეობას. ქალაქის ხმოსნების ნაწილიც სიხარულით მოელოდა ახალგაზრდა „არხიტექტორს“ თავისუფალ ვაკანსიაზე. მაგრამ უკუღმა მოტრიალდა საქმე! კლდიაშვილი მშრალზე დატოვეს!.. ვფიქრობთ, მაგრამ ვერ აგვიხსნია, თუ რა საფუძვლით უთხრეს ამ კაცს უარი! კრების დროს ზოგიერთმა წამოაყრანტალა: მაგ ჯერ გამოუცდელიაო!“.

ეს ხდება იმ დროს, როცა კლდიაშვილების ოჯახის თავზე მწუხარების ღრუბლებია შემოჯარული. უმამოდ დარჩენილი ოჯახისთვის საყრდენის გამოცლის ტოლფასი იყო დიდი პაპის, დიმიტრი ყიფიანის მუხანათური მოკვდინება, დედის უფროსი ძმის, ცნობილი იურისტის დავით ყიფიანის გარდაცვალება; მეორე ბიძის – მიხეილის მეუღლის ამ სოფლიდან უდროო წასვლა და ა. შ. მართალია, ულუკმაპუროდ არ დარჩენილან, მაგრამ უსამსახუროდ დარჩენა ძალზე ძნელი ასატანი იქნებოდა დედაზე და და-ძმებზე მზრუნველი ახალგაზრდისათვის.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი სვიმონისათვის ცნობილი ხდება, რომ ქ. სოხუმში არქიტექტორის ვაკანსია ყოფილაო და ისიც იქით მიეშურება. 1896-1899 წლებში მისთვის უცხო ადგილას უწევს საქმიანობა... საინტერესოა, აღინიშნოს, რომ ამავე ხანებში, გიმნაზიის ახალკურსდამთავრებული მისი უმცროსი ძმა – საბა – ოდესის უნივერსიტეტში ჩასაბარებლად მიემგზავრება, მას თან მიჰყვება უფროსი ძმა ლუარსაბიც, უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩარიცხვის მსურველი, ორივეს კი ძირითად დამფინანსებლად სვიმონი ეგულებათ... მაგრამ ერთი წლისთავზე ოჯახს ახალი უბედურება ატყდება თავს: მძიმედ დაავადებული ლუარსაბი სამშობლოში ბრუნდება და მალე გარდაიცვლება კიდეც. ამიერიდან ოჯახში უფროსი მამაკაცის ტვირთის ზიდვა სვიმონს უწევს... იგი სოხუმში ბრუნდება სამსახურის აღსასრულებლად.

ამ დროს თბილისში ერთი მნიშვნელოვანი საქმის გადაწვეტა დგება დღის წესრიგში: ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის საკუთარი შენობის აგება. გიმნაზიის „გამგე-კომიტეტის“ ინიციატივით გადაწყდა ამ პრობლემის მოგვარება. ამ მიზნით 1898 წელს, ვარაზის ხევს გადაღმა, სადაც ჯერ კიდევ ტრიალი მინდორი იყო, მიწის ნაკვეთი შეიძინეს... ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით, ამ საქმეს ენერგიული და პრაქტიკული უნარის მქონე პიროვნება ნიკო ცხვედაძე ჩაუყენეს სათავეში.

ნიკოლოზ (ნიკო) ცხვედაძე, სოფ. კავთისხევის ეკლესიის მღვდლის ზებედეს და მისი მეუღლის მარიამ კავსაძის შვილი გახლდათ. თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მიუღია უმაღლესი განათლება და 1869 წელს, 24 წლისას, მშობლიურ თბილისის სემინარიაში დაუწყია მასწავლებლობა, ხოლო 1874 წლიდან თბილისის ქალთა ინსტიტუტსა და წმ. ნინოს სასწავლებელში აგრძელებდა მოსწავლეთა აღზრდას. იმავე ხანებიდან თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში: „კრებული“, „მნათობი“, „ივერია“, „განათლება“ და სხვ. 1877 წელს ნ. ცხვედაძე მოგზაურობს ევროპაში სწავლა-აღზრდის მდგომარეობის ადგილზე გაცნობის მიზნით. ამასთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს თითქმის ყველა ქართულ საზოგადოებრივ საქმეში – იყო ქშწკგ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი წესდების პროექტის ავტორი და საზოგადოების გამგეობის მუდმივი წევრი, თავმჯდომარის ასევე უცვლელი ამხანაგი (მოადგილე); არჩეულ იყო ქ. თბილისის საკრებულოს ხმოსნად, ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა, შედიოდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბთა დამხმარე კომიტეტის შემადგენლობაში, მინიჭებული ჰქონდა „ტიტულიანი მრჩევლის“ („ტიტულიარნი სოვეტნიკ“-ის) წოდება და სხვ. ყველაფერ ამის გათვალისწინებით იყო, რომ ილიას წინადადებით და საზოგადოების მხარდაჭერით იგი ქართული გიმნაზიის შენობის აგების საქმეს ჩაუყენეს სათავეში.

გელა საითიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სომხური არმიის დღე და „დამოუკიდებლობის“ მილოცვა ოსებს...

სომხებს სამცხე-ჯავახ(კ)ეთში ეუმაკი არ ასვენებთ!..

ამ დღეებში ახალქალაქის ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში სომხეთის არმიის ფორმირების 26-ე წლისთავი აღნიშნეს. ღონისძიება სლოგანით „მე შენი ხელის დარტყმა ვარ“, რომელსაც საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის წინამძღოლი, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი და „საქართველოს სომხური დახმარების კავშირის“ თავმჯდომარე კარინე თადევოსიანიც ესწრებოდნენ, „თავისუფლებისთვის ჯავახ მებრძოლთა“ საზეიმო შემოსვლით გაიხსნა.

jnews.ge-ს ინფორმაციით, ეპისკოპოსმა მისალოც სიტყვაში მშვიდობა უსურვა ჯარისკაცებს, რომლებიც სომხეთის საზღვარზე მსახურობენ. თავის მხრივ, ახალგაზრდული ცენტრის სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა შეგირდებმა მათ მილოცვები და მადლობა შეუთვალეს სომხეთის საზღვრების საიმედო დაცვისთვის, რის შემდეგაც პატრიოტული სიმღერები და ცეკვები შეასრულეს.

ღონისძიებაზე მიწვეულ ყოფილ მებრძოლებს კი სამადლობელი სიგელები გადაეცათ და საზეიმო ტორტის გაჭრის პატივი ხვდათ წილად, რომელზეც სომხეთის ღერბი იყო გამოსახული.

„მსგავს ღონისძიებებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ახალგაზრდები ხომ ამით ეროვნული თვითშეგნებით იზრდებიან და იძენენ ცოდნას ჩვენ გვერდით მცხოვრები ადამიანების შესახებ. ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი — „მე შენი ხელის დარტყმა ვარ“ უნდა იქცეს ხელმისაწვდომად თითოეული ჩვენი შეგირდისთვის“, — განუცხადა jnews.ge-ს კარინე თადევოსიანმა.

სომხური არმიის საიუბილეო ღონისძიებას ნინოწმინდიდან და ახალციხიდან ჩასული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ქვეყანაში არ შემოუშვეს სომხური ოპოზიციური პარტია „ერკირ ცირანის“ ლიდერი, ერევნის უხუცესთა საბჭოს წევრი ზარუი ფოსტანჯიანი, რომელიც უმთავრესად სომხებით დასახლებულ ახალქალაქში მიემართებოდა „სომხების ჯანყისა და ქართული ოკუპაციის ქვეშ მყოფი ჯავახკის (ჯავახეთი) თვითგამორკვევისთვის“ აგიტაციის საწარმოებლად.

„საზოგადოებრიობასთან დაგეგმილი შეხვედრების თემატიკა ფოსტანჯიანს სრულიადაც არ დაუმალავს და მიუხედავად ამისა, გააკვირვა იმ ქვეყანაში არშეშვების გადაწყვეტილებამ, რომლის დესტაბილიზაციასაც ცდილობს ერთ-ერთ ყველაზე რთულ — ჯავახეთის რეგიონში სეპარატისტული განწყობების გაღვივების მცდელობებით“, — წერდა მაშინ „Вестник Кавказа“.

მისივე ინფორმაციით, რამდენიმე კვირით ადრე სომეხი პოლიტიკოსი ახალქალაქში უკვე იმყოფებოდა, ადგილობრივ სომხებს შეხვდა და აგიტირება გაუწია ანტიქართული გამოსვლებისთვის საქართველოსგან ჯავახეთის გამოსაყოფად. „სტუმარი“ ღიად აცხადებს, რომ მსგავს ქცევაში დასაძრახს ვერაფერს ხედავს და ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ მაშინ საქართველოს ხელისუფლებას მისთვის ხელი არ შეუშლია.

არადა, ფოსტანჯიანის მოღვაწეობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლს მიესადაგება, მათ შორის — „ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების“ თაობაზე და რამდენიმე კიდევ უფრო მძიმე მუხლს. შესაბამისად, ახალქალაში მისი მორიგი გამოჩენის შემთხვევაში მართებული იქნებოდა ამ ქალბატონის დაკავება და სასამართლოს წინაშე წარდგენა საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა თბილისმა, როგორც ჩანს, ამ თემაზე გარდაუვალ ისტერიკას თავი აარიდა და ამჯობინა, ერევნის უხუცესთა საბჭოს წევრისთვის არაოფიციალურად მიენიჭებინა სტატუსი „პერსონა ნონ გრატა“, რომლის საფუძველზეც იგი ქვეყანაში ვეღარასოდეს შემოვა.

კიდევ რამდენიმე დღით ადრე, 15 იანვარს ჯავახეთის სომხური სათვისტომოს დამფუძნებელი აგასი არაბიანი მოსკოვში დაესწრო ღონისძიებას, რომელიც „რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საელჩომ“ კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების შეყვანის 25-ე წლისთავის აღსანიშნავად გამართა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ არაბიანმა რუსეთში მოქმედ სომხურ გამოცემა www.armmuseum.ru-სთან ინტერვიუში არაერთი პროვოკაციული განცხადებაც გააკეთა, მათ შორის — ასეთიც:

„რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქართველთა მხრიდან წარმოებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, რომელიც მიმართული იყო ოსი ხალხისა და მისი უფლებების წინააღმდეგ“; „თრიალეთის ფერდობზე მცხოვრები ოსები სომხური რეგიონისკენ, ჯავახეთისკენ გაიქცნენ, ჯავახი სომხები მოძმეებს უსასყიდლოდ დაეხმარნენ და უზრუნველყვეს მათი ევაკუაცია გიუმრისკენ, საიდანაც ისინი ბესლანში გადავიდნენ“; „ოსები და სომხები უნდა გაერთიანდნენ, რათა საკუთარი ისტორიული სიმართლე დაამტკიცონ“; „დღეისთვის სამხრეთ ოსეთი დაინტერესებულია მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებით და სომხებმა მხარი უნდა დაუჭირონ რეგიონში მშვიდობას“; „რუსეთი, საქართველო, ჯავახეთი და სომხეთი უნდა გაერთიანდნენ და ერთად განახორციელონ ჰუმანიტარული და ეკონომიკური პროექტები, რაც რეგიონში უამრავ სამუშაო ადგილს შექმნის და ასევე მოძმე ერებს დააახლოებს“.

თავად www.armmuseum.ru-ს ჟურნალისტი დასძენს, რომ „ოს ხალხს სრული უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს საკუთარი ისტორიული ბედი“. წერს იმასაც, რომ „მიმდინარე პროცესების ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო აგასი არაბიანის შეხვედრა სამხრეთ ოსეთის ელჩთან რუსეთში ზნაურ გასიევთან, რომელზეც საუბარი კულტურულ, ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ საკითხებს შეეხო: სომხები ბას ვანიჭებთ, ახალგაზრდები ხომ ამით ეროვნული თვითშეგნებით იზრდებიან და იძენენ ცოდნას ჩვენ გვერდით მცხოვრები ადამიანების შესახებ. ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი — „მე შენი ხელის დარტყმა ვარ“ უნდა იქცეს ხელმისაწვდომად თითოეული ჩვენი შეგირდისთვის“, — განუცხადა jnews.ge-ს კარინე თადევოსიანმა.

ცნობისთვის: არაბიანის რიტორიკას ოფიციალური თბილისის მხრიდან საჯარო რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია!

ამ თვალსაზრისით ანალოგიურად იქცევა სომხური მხარეც: ოფიციალური საჯარო პირები დუმილს ინარჩუნებენ ამ დღეებში ერევანში საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წიგნის პრეზენტაციის ჩაშლის თემაზე.

ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელმაც საკუთარი მოსაზრება გამოხატა და ისიც ფეისბუქ-კომენტარის სახით, სომხეთის გარემოს დაცვის მინისტრის მრჩეველი მესროპ ესაიანია, რომელიც წერს:

„საინტერესოა, არიან კი ნახსენები ამ წიგნში ჯავახკის სომხები, რომლებიც სააკაშვილმა ციხეში ჩასვა?“.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

ბიტკოინისთვის ყველაზე იაფ ელექტროენერგიას აფხაზეთში ენგურჰესიდან იღებენ!

„აფხაზეთის მხრიდან ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე კატასტროფულად იზრდება და ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი კრიპტოვალუტის (ბიტკოინის) მაინინგის ფერმებია“, — აცხადებს ენერგეტიკოსი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა.

როგორც დავით მირცხულავამ „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტა, ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში, აფხაზეთში ნიშული მკვეთრად გაზრდილია. მისი თქმით, ამის გამომწვევი მიზეზი, ერთი მხრივ, არის დაბალი ტარიფები, რომელიც დაახლოებით 15-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ასევე პრობლემაა ენერგიის უყაირათოდ მოხმარება და საფასურის გადაუხდებლობა. მეორე მხრივ კი, მირცხულავა აღნიშნავს, რომ დაბალტარიფიანი ელექტროენერგია მაინინგისთვის ძალიან მომგებიანია. ენერგეტიკოსი „კომერსანტთან“ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დღეს აფხაზეთი კრიპტოვალუტების გასავითარებლად მიმზიდველი ტერიტორიაა.

„ელექტროენერგიის მოხმარება აფხაზეთის მხრიდან, მხოლოდ შარშან, 50 %-მდე იყო, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია. მართალია, რომ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ კი, გაგრასა და ლესელიძეში, ელექტროენერგიის ხარისხი შედარებით დაბალია, თუმცა, ეს იმდენად იაფი ჯდება, რომ აფხაზეთში ბიტკოინის მაინინგის ფერმების რაოდენობა მზარდი გახდა“, — აცხადებს მირცხულავა.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის მოსაზრებას ეთანხმება ბიზნესსამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილიც, რომლის თქმით, უამრავი კომპანია თუ კერძო პირი არამხოლოდ ადგილობრივი მოქალაქე, არამედ სხვა ქვეყნებიდან (დიდი ნაწილი რუსეთიდან) აფხაზეთში ჩადის და კრიპტოვალუტის მაინინგის ფერმების მუშაობითაა დაკავებული. ამას კი დიდი რაოდენობით ელექტროენერგია სჭრდება.

„დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ელექტროენერგიის მოხმარების ასეთი მკვეთრი ზრდა აფხაზეთში სწორედ კრიპტოვალუტის შემოსვლამ გამოიწვია. ეს ფაქტი კი ქართული მხარისთვის, რეალურად, არის უკონტროლო, რადგან წერილობითი შეთანხმება ან რაიმე ხელშეკრულება ამ საკითხზე აფხაზურ მხარესთან არ გაგვაჩნია. შესაბამისად, ელექტროენერგიის განაწილების ის სქემა, რომელიც თავის დროზე, 1996-1997 წლებში იქნა შეთანხმებული, დიდი ალბათობით ირღვევა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ბალანსიდან ამოღებულ იქნას ზუსტი ციფრები და ნებისმიერ ფორმატში მხარეებმა ამაზე მოლაპარაკება დავიწყოთ. სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით არანაირი ყურადღება არ არის, არადა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია“, — აცხადებს ჩარგეიშვილი.

აკაკი ჩარგეიშვილი იზიარებს ენერგეტიკოს დავით მირცხულავას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ ზოგადად, დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით უკონტროლო ვითარებაა.

„არ ხდება ელექტროენერგიის აღრიცხვა. ამასთან, აფხაზური მოსახლეობა მთლიანად ელექტროენერგიის მოხმარებაზეა გადასული, ამიტომ საერთოდ არ იყენებს ბუნებრივ ან თხევად გაზს, ზამთრის პერიოდში კი ასეთი ვითარება, სიტუაციას ამძიმებს“, — განმარტავს ჩარგეიშვილი.

აფხაზეთის ელექტრომომარაგების ერთადერთი წყარო „ენგურჰესი“ და „ვარდნილჰესია“. ზამთრის სეზონზე ორივე ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 50 %-ზე მეტი აფხაზეთს მიაქვს, ზაფხულში ეს მაჩვენებელი შედარებით მცირდება. ცნობილია, რომ „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აფხაზები მთლიანად უფასოდ იღებენ. მაგალითისთვის, 2017 წლის ნოემბერში „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 54.4 % აფხაზებმა წაიღეს.

1997 წელს მხარეებს შორის დადებული სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესის“ (გალის ტერიტორიაზე) კასკადის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 40 % აფხაზეთის რეგიონს უნდა წაეღო, 60 % — კი საქართველოს დანარჩენ რეგიონს. კვოტების განაწილებასთან დაკავშრებით ოფიციალური დოკუმენტი მხარეებს შორის არ არსებობს, თუმცა როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, აფხაზებს 40-50%-ზე მეტი დენი სრულიად უფასოდ მიაქვთ.

სალომე ლემონჯავა

რა ღირს რიგითი მოქალაქისთვის სახელმწიფოს შენახვა?

რამდენმა თქვენგანმა წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და გამოთვალა თუ სად მიდის მისი გადასახადები? ცხადია, მსგავსი არითმეტიკის მოყვარული მოქალაქეები უმცირესობაში არიან. საინტერესოა, ვის რამდენს ვუხდით საკუთარი კუთვნილი ხელფასიდან? გთავაზობთ, მიმოხილვას, სახელმწიფო სერვისების შესანახად, ჩვენი შემოსავლიდან რა წილი სად მიდის.

სახელმწიფომ 2017 წელს სუბსიდიებზე 419,969,000 ლარი დახარჯა. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, სუბსიდიებზე 437,897,000 ლარია გამოყოფილი.

2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით, გადასახადებიდან შემოსული თანხა უნდა იყოს 9,470,000,000 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან საშემოსავლო გადასახადით

სახელმწიფო ბიუჯეტი 2,780,000,000 ლარს მიიღებს.

საქართველოში 2017 წლის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულია დაახლოებით 1,800,000 ადამიანი. მათი საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 960 ლარია, გადასახადების შემდეგ კი 768 ლარი, ანუ, რიგითი დასაქმებული ქართველი 2018 წელს სახელმწიფოს საშუალოდ 2304 ლარს გადაუხდის.

საქართველოს სახელმწიფოს 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 10,120,000,000 ლარს შეადგენს.

ყველაზე მეტს 2018 წელს სახელმწიფო სოციალურ დაცვაზე დახარჯავს. სახელმწიფო აპირებს დახარჯოს ბიუჯეტის 25.7% (2,601,311,000 ლარი), აქედან. ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას 1,730,261,000 ლარი მოხმარდება. რაც შეეხება ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვას , ეს ციფრი 694,060,000 ლარი იქნება. საშუალოდ თითოეული დასაქმებული მოქალაქე 2018 წელს სოციალური დაცვისთვის 592 ლარს გადაიხდის.

სამართალდამცავი ორგანოების, სახელმწიფო დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოებისთვის 2018 წელს გამოყოფილია 1,118,402,000 ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 11%.-ს შეადგენს. ანუ საშუალო სტატისტიკურ მოქალაქეს 2018 წელს პოლიციის სამსახური და სახელმწიფო წესრიგი 253 ლარი დაუჯდება.

თავდაცვისთვის სახელმწიფომ 2018 წელს 631,362,000 ლარი გამოყო , რისთვისაც საშუალო დასაქმებული მოქალაქე 142 ლარს გადაიხდის.

განათლებისთვის საბიუჯეტო სახსრებიდან გამოყოფილია 1,135,539,000 ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 11.2%-ს შეადგენს. ეს კი რიგით დასაქმებულს 258 ლარი დაუჯდება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საპარტრიარქოსთვის 2018 წელს გამოყოფილია 25,000,000 ლარი, რაც მოქალაქისთვის 5.5 ლარი ეღირება.

2018 წლის ბიუჯეტიდან „საზოგადოებივ მაუწყებელს“ სახელმწიფომ გამოუყო 7,618,000 ლარი. დასაქმებული ფიზიკური პირი სახელფასო გადასახადიდან საზოგადოებრივ მაუწყებელს 11.5 ლარს გადაუხდის.

სახელმწიფო სესხების პროცენტის ხარჯი წლევანდელი ბიუჯეტის მიხედვით არის 550,038,000 ლარი. საშუალოდ საქართველოს მოქალაქე სახელფასო გადასახადიდან 125 ლარს სახელმწიფოს ვალის პროცენტის ვალდებულების შესასრულებლად გადაიხდის.

გიორგი ჭკადუა

მართლაც ასეთი გაუმართავი მანქანებით დავდივართ?

7006 ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან ტექნიკური შემოწმება 1592-მა ვერ გაიარა, – ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

ძირითადი დარღვევები იყო სამუხრუჭე სისტემა, გამონაბოლქვი, ფარების გაუმართაობა, საბურავები და საჭის მართვის მექანიზმი.

2018 წლის 1 იანვრიდან ტექდათვალიერება უნდა გაევლო სამგზავრო (8 ადგილის ზემოთ) და სატვირთო (3,5 ტ. ზემოთ) ავტომობილებს.

2018 წლის 1 ივლისიდან კი, ინსპექტირებას გაივლიან სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების კუთვნილი ავტომანქანები.

ასევე, 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ტექდათვალიერება სავალდებულო გახდება მსუბუქი ავტომობილებისთვის, რომელთა ძრავის მოცულობა სამი ათასი კუბური სანტიმეტრია ან აჭარბებს მას.

2019 წლიდან კი, ტექნიკურ შემოწმებას ყველა ავტომობილი დაექვემდებარება.

ცნობისთვის, მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება 60 ლარს შეადგენს, ხოლო სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების – 100 ლარია.

◎ წინ, საქართველოვ!

სხვა ტალახაძე სად არი...

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებულ ტრადიციულ გამოკითხვაში გამარჯვება ქართველმა გოლიათმა ლაშა ტალახაძემ მოიპოვა. ის მსოფლიოში 2017 წლის საუკეთესო შტანგისტად აღიარეს.

გამოკითხვა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 2018 წლის იანვარში მოაწყო.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ გასულ წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, რამაც თანამემამულეთაგან პირველს არგუნა ანალოგიური პატივი.

კობა კობახიძე

◎ ვარსკვლავი

ვოიცეხ შჩესნი:
„იმედია, ბუფონი ფეხბურთში დარჩება, თუმცა, მხოლოდ ერთი წლით“

ვოიცეხ შჩესნი „იუვენტუსს“ ჯანლუიჯი ბუფონის დუბლიორის რანგში შეუერთდა, თუმცა, როდესაც პოლონელს შანსი მიეცა, ჩინებულად გამოიყენა და ერთ-ერთი გამორჩეულიც გახლდათ თანაგუნდელთა შორის.

ბუფონი 2 თვის განმავლობაში ტრავმირებული იყო და შჩესნიც ამ პერიოდში გამოირჩა. ცოტა ხნის წინათ იტალიელი მოედანს დაუბრუნდა, ხოლო მისი კოლეგა — სათადარიგოთა სკამს.

ვოიცეხი ბუფონის შესახებ საუბრობს:

„რას ნიშნავს ჯიჯისთან ერთად მუშაობა? — დაუჯერებელია. როდესაც აქ მოვედი, ვიცოდი, რომ ერთ ან ორ წელს ითამაშებდა. ეს არის გამოცდილება, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ იღებს ადამიანი. დიდი მეკარეა, მაგრამ ადამიანი კიდევ უფრო წარმოუდგენელი. ბუფონი გუნდის ნამდვილი ლიდერია, ყველას მეგობარი. ყველას ეხმარება და დანარჩენებიც მას უდგანან გვერდში.

გიჟური პიროვნებაა. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ როგორი მეკარეა — ყველამ კარგად იცით. იმედია, ჯიჯი კარიერას გააგრძელებს, თუმცა, მხოლოდ ერთი წლით (იღიმის) — განაცხადა შჩესნიმ.

შეგახსენებთ, რომ ვოიცეხ შჩესნი „იუვენტუსს“ გასულ ზაფხულს შეუერთდა და იმ პერიოდში, როდესაც ბუფონი ტრავმირებული იყო, ის ჩინებულად შეცვალა. რაც შეეხება 40 წლის იტალიელ მეკარეს — მოსალოდნელია, რომ კარიერას ზაფხულში დაასრულებს, მაგრამ ამის შესახებ ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

აქვე გეტყვით, რომ „იუვენტუსმა“ უკანასკნელ 15 თამაშში ერთადერთი ბურთი გაუშვა. ხსენებული 15 მატჩიდან ხუთი ჯიჯიმ ითამაშა და გოლი არ გაუშვია, ხოლო შჩესნიმ 10 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გამოიტანა ბურთი საკუთარი კარის ბადიდან...

გიორგი ფოთაძე

◎ ლეგიონერი

მარკოიშვილი მეოთხედფინალშია!

ერთმატჩიანი უქმობის შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილი მოედანს დაუბრუნდა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვებაშიც დაიდო წილი. “რეჯიო ემილიას“ ქართველი ფორვარდი მუხლის ტკივილმა შეაწუხა, რის გამოც მან იტალიის ჩემპიონატის წინა მატჩი გამოტოვა. მწვრთნელებმა მანუჩარი დაასვენეს და ის ევროთასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ფრანგული „ვილერბანის“ წინააღმდეგ ათამაშეს.

იტალიურმა კლუბმა 75:68 იმარჯვა და საკუთარ — H ჯგუფში 4 მოგებითა და 2 მარცხით პირველი ადგილი გაინაღდა. ქართველმა უკანახაზელმა 22 წუთი ითამაშა და 7 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მანუჩარმა 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ. რეჯიოემილიელთაგან 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ ამადეო დელა ვალე ასცდა, რომელმაც 19 ქულა მიითვალა.

„რეჯიო ემილია“ მეოთხედფინალში გავიდა და მისი მეტოქე F ჯგუფის მეორეადგილოსანი — სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ იქნება. პლეი-ოფის სერიის მატჩები 6-დან 14 მარტამდე გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

სამშობლოშიც აღიარეს

ესპანეთის 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენებად კაცებში რაფაელ ნადალი, ხოლო ქალებში გარბინიე მუგურუზა დაასახელეს აღნიშნულ ინფორმაციას Mundo Deportivo ავრცელებს.

2017 წელს რაფაელ ნადალმა როლან გაროსი და ამერიკის ღია პირველობა მოიგო, ხოლო გარბინიე უიმბლდონის ჩემპიონი გახდა. რაფამ სეზონი რეიტინგში პირველ ნომრად დაასრულა, მუგურუზა კი სექტემბრის თვეში იყო რეიტინგის წამყვან პოზიციაზე და ეს 2003 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როცა ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ქალთა და მამაკაცთა რეიტინგის სათავეში იყვნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ხსოვნა

თამაზ თევზაძე

მთელი მისი ცხოვრება სპორტს უკავშირდება. ჭაბუკობიდან თბილისის „ქარიშხალას“ ხელბურთელთა გუნდში მეკარედ თამაშობდა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული. 1993 წლიდან აქტიურად ჩაება ოლიმპიურ მოძრაობაში და, იმ დღიდან მოყოლებული, სპორტის სამყაროში სუფთა ხელებით მოსული, იდეალებითა და რეფორმების დაუოკებელი წყურვილით შემკობილი ადამიანი სპორტისთვის 25-წლიანი ამაგის შემდეგ სუფთა ხელებით წავიდა. ოლიმპიური მოძრაობიდან მან სპორტის სახელმწიფო მართვის სფეროში გააგრძელა სპორტისთვის მსახურება და ორჯერ იყო სპორტზე პასუხისმგებელი მინისტრის მოადგილე და ერთხელ მრჩეველი. მის სახელს უკავშირდება მრავალი მნიშვნელოვანი, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული პროგრამა თუ პროექტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მასობრივი სპორტული პროექტებია „Open Fun Football“ და „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“. მისი ინიციატივითა და საერთაშორისო პარტნიორთა ხელშეწყობით საქართველოში პირველად დაფუძნდა „ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო“. ასევე მის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველად „ბავშვთა სპორტის განვითარების სტრატეგიისა“ და „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის“ შემუშავება.

იგი ასევე იყო მრავალი სიახლისა და რეფორმის ინიციატორი, ისეთების, როგორიცაა: „Fair Play“ ფედერაციის დაფუძნება; სპორტსმენთა სადაზღვევო სისტემის შემოღება; სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბება; სპორტის სახელმწიფო მართვის თანამედროვე ევროპული სისტემის დანერგვა; ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის ერთ ქოლგა ორგანიზაციად „სპორტის მუშტად“ გაერთიანება და მრავალი სხვა... სპორტში თეორიული საქმიანობის გარდა, აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობაში, სადაც 1998-2008წ.წ. სხვადასხვა თანამდებობებს იკავებდა: იყო გენერალური მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი; ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატი. ასევე ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის ექსპერტ-დელეგატი.

აღნიშნულის გარდა, კიდევ მრავალი რამ შეიძლება დავწეროთ ქართულ სპორტში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც მისი გულწრფელი და ღია მუშაობის პრინციპები გახლავთ, რომლისთვისაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ უღალატია! ყოფილი ხელბურთელი და მომავალში სპორტის სფეროს უღალატო მეგობარი, სრულიად უანგაროდ ემსახურა იმ საქმეს, რასაც ჰქვია ქართული სპორტის უპირობო, სწრაფი და ეფექტიანი განვითარება. მისი წასვლით ქართულმა სპორტმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა წამყვანი ევროპული ქვეყნების სპორტის მართვის მოდელთან დაახლოების გზაზე.

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ დღესასწაული

დავით აღმაშენებელი - წმიდა კეთილმსახური მეფე

8 თებერვალს წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. 1089 წელს საქართველოს **„ბედად მოევლინა განსწავლული, ღვთის მოშიში, ბრძნადმეტყველი, ქვრივ-ობოლთა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა — წმიდა დავით აღმაშენებელი“.**

ცნობილია, რომ ურჩი დიდებულების დათრგუნვის შემდეგ მეფე მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო ქვეყანაში.

დავით მეფემ თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიებს. მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღწერილია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ კეთილმსახურება მეფემ ქვეყნის შიდაპოლიტიკის რეფორმისა და აღმშენებლობის შემდეგ თურქთაგან საქართველოს გაწმენდას მიჰყო ხელი.

ფაქტიურად დავით აღმაშენებელმა დიდგორთან ომის მოგების (1121 წ.), დმანისის შემოერთების და თბილისის აღების შემდეგ, საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

ქართველთა ყველაზე ძლევამოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს.

გიული ლიპარტია

გარდაიცვალა ფრიდონ საყვარელიძე

პუბლიცისტი და საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი ფრიდონ საყვარელიძე გარდაიცვალა. ბოლო დროს მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ფრიდონ საყვარელიძე რესპუბლიკური პარტიისა და მისი ეროვნული კომიტეტის წევრი იყო. სწორედ რესპუბლიკური პარტიის სახელით იყო ის პარლამენტში, თუმცა 2 წლის წინ არჩევნების შემდეგ ფრიდონ საყვარელიძემ პარტია დატოვა და დავით უსუფაშვილის „შენების მოძრაობას“ შეუერთდა.

ფრიდონ საყვარელიძე იყო „ქრისტიანული განათლების ფონდის“ დირექტორი. ასევე ავტორია რამდენიმე სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიისა მედიცინაში. 1998 წელს შეადგინა და გამოსცა „ადამიანის უფლებათა ლექსიკონი“. წერდა საქართველოს სახალხო დამცველის ეგიდით გამომავალ ჟურნალ „სოლიდარობაში“ ადამიანის უფლებების, სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიის, პოლიტიკური იდეოლოგიების და დემოკრატიის საკითხებზე.

სხვადასხვა დროს მისი რედაქტორობით გამოიცა: „შენიშვნები ადამიანის უფლებებისა და ადამიანის უფლებების მონიტორინგის შესახებ“, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები“, „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი“, „ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო წამების წინააღმდეგ“.

არის ავტორი წიგნისა „მადამ გილიოტინას საყვარლები“, თანაავტორი წიგნებისა — „საქართველოს კონსტიტუცია (შინაარსისა და საფუძვლების მიმოხილვა)“, „ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა“, „დემოკრატია და ქართული კულტურა“.

ოთარ ზოიძესთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა მეოცე საუკუნის ღვთისმეტყველის, პროტოპრესვიტერ ალექსანდრე შმემანის წიგნები: „მართლმადიდებლობის ისტორიული გზა“, „ცოცხალი რწმენის შესახებ“, „ევქარისტია“, „ღვთისმსახურება და ღვთისმეტყველება“.

◎ კრიმინალი

განზრახ მძიმე დაზიანება

თბილისის ცენტრში ყაზბეგის გამზირზე 24 წლის მამაკაცი **დაჭრეს. დაჭრილი რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი, შემთხვევა გვიან ღამით ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.** თვითმხილველების თქმით, დაშავებულს შელაპარაკება ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირებთან მოუვიდა და მას თან ახლდა მეგობარი გოგონა. შემთხვევის ადილის მიმდებარედ მცხოვრებთა განცხადებით მათ ორი გასროლის ხმა გაიგეს. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ.



ლომთათიძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 4 თებერვალს თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის ფაქტზე კიდევ ერთი პირი დააკავა.

სამართალდამცველებმა 1994 წელს დაბადებული გ.ჭ. დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლ.ყ.-მ, თანმხლებ პირთან — გ.ჭ.-სთან ერთად, მიმდინარე წლის 4 თებერვალს თბილისში, ჭოლა ლომთათიძის ქუჩაზე, შურისძიების მოტივით, ნაცნობს - 1980 წელს დაბადებულ დ.ქ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს — 1988 წელს დაბადებული ლ.ყ. თბილისში, ხოლო 1994 წელს დაბადებული გ.ჭ. კასპის რაიონის სოფელ აღაიანში.

სანთელი

კიდევ ერთი გამოცდილი პროფესიონალი გამოგვეცალა

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ 73 წლის ასაკში, ენერგეტიკოსთა კოჰორტას გამოაკლდა კიდევ ერთი ცნობილი სამეურნეო მუშაკი, მაღალი პროფესიონალი, შპს „ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი, გამოჩენილი ეკონომისტი — ვალერიან დოროთეს ძე კანკია.

დიდი და საინტერესო იყო ბატონ ვალერიანის ცხოვრების გზა, რომელიც წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიაში დაიწყო — სოფლის შვიდწლედით, შემდეგ აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი, „ენგურჰესის“ მშენებლობის დირექციის და ექსპლუატაციაში გადაცემული ჰესის მთავარი ბუღალტერი, საქართველოს „საქსახსოფლტექნიკის“ აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს აღრიცხვის, კონტროლისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი და მნიშვნელოვანი მრავალი სხვა სახელმწიფო სტრუქტურების, მაღალი თანამდებობები, მაგრამ ყველაზე დიდი და კეთილი კვალი და ღვაწლი, 2005 წლიდან „ენგურჰესის“ კოლექტივში ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობამ დატოვა. ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის ფლაგმანის გამართული მუშაობა, ამ უდიდესი ენერგოობიექტის მუშაკთა მრავალი ოჯახის კეთილდღეობა, ბატონ ვალერიანის დიდი ადამიანური გულისხმიერების წყალობითაც, ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მრავალმხრივი იყო მისი ღვაწლი ჰესის ინფრასტრუქტურის, ჯანმრთელობის კერების და სხვა სამსახურების გამართულ მუშაობაში.

ენერგეტიკის დარგის გამოჩენილი წარმომადგენლის, ჩვენი ძვირფასი კოლეგის, ბატონ ვალერიან კანკიას გარდაცვალების გამო, მწუხარებას გამოვთქვამთ და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს — ქალბატონ ლამარა შველიძე-კანკიას, შვილებს, შვილიშვილებს და მის საყვარელ „ენგურჰესის“ დიდ კოლექტივს.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა ჩვენო მეგობარო!

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია

შპს „ენგურჰესის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფინანსური დირექტორის

ვალერიანე კანკიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფინანსური დირექტორის

ვალერიანე კანკიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ მენაბდე, ზურაბ ამაშუკელი, ნუგზარ ბრეგვაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების

ვახტანგ ტუსკიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

კიდევ ერთი მიწისძვრა!

ტაივანში კიდევ ერთი მაგნიტუდით 5,0 მიწისძვრა მოხდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ჩინეთის სეისმოლოგიური ცენტრი ავრცელებს.

მიწისქვეშა ბიძგები ადგილობრივი დროით 19:13 საათზე აღინუსხა.

გუშინ კი, ტაივანში მაგნიტუდით 6,5 მაწისძვრა მოხდა, რომლის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა, 225-მა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო, 145 ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

ვალერი მელაძე რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირია!

მომღერალი ვალერი მელაძე რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატის ბორის ტიტოვის ნდობით აღჭურვილი პირი გახდა.

რუსეთის ცესკომ ტიტოვის ნდობით აჭურვილი პირების 114-კაციანი სია დაარეგისტრირა.

მანამდე, რუსეთის მოქმედი პრეზიდენტის, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატის ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილ პირთა შორის რამდენიმე ქართველი მოხვდა: ბალეტის მოცეკვავე ნიკოლოზ ცისკარიძე და მომღერალი დიანა ღურწკაია.

რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 18 მარტს გაიმართება.

ხანძარი ბერლინის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში

ბერლინის ცენტრში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო Mandala-ში ხანძარი გაჩნდა.

ამის შესახებ გაზეთი Berliner Zeitung მეხანძრეებზე დაყრდნობით წერს.

დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ადგილზე საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის თანამშრომლები იმყოფებიან. მიმდებარე ქუჩა ცალმხრივად გადაკეტილია.

FALCON HEAVY-ის სტარტი წარმატებული აღმოჩნდა

შეერთებულ შტატებში, ფლორიდის სანაპიროზე მდებარე კენედის კოსმოსური ცენტრიდან, 7 თებერვალს, თბილისის დროით 00:45-ზე Falcon Heavy-იმ წარმატებული სტარტი განახორციელა.

რაკეტა ყველაზე მძლავრია, რაც კი Space X-ის შეუქმნია. მას 63 ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია, ამჯერად კი 2008 წელს გამოშვებული TESLA-ს პირველი ელექტრომობილი წითელი ფერის, TESLA ROADSTER მიაქვს. კოსმოსური ხომალდი მარსის ორბიტისკენ მიიწევს.

კოსმოსური ხომალდის სიმაღლე 70 მეტრია, მას 27 ძრავი გააჩნია და 1 მისიის ღირებულება 90 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც „შატლის“ მისიებთან შედარებით ბევრად იაფია.

ბიჭია თუ გოგო?

მომავალი ბავშვის სქესის გაგება დედის არტერიული წნევით შეიძლება, — ამტკიცებენ კანადელი მედიკოსები.

არსებობს არაერთი როგორც ხალხური, ისე ინსტრუმენტული მეთოდიკა, რომელთა მეშვეობით სავსებით შესაძლებელია მომავალი ბავშვის სქესის დადგენა. ყველაზე ეფექტიან ხერხად ულტრაბგერითი გამოკვლევა ითვლება, მაგრამ 100-პროცენტიანი სიზუსტით იმის მტკიცება, ბიჭი იქნება თუ გოგო, არც მისი დახმარებით შეიძლება.

ტორონტოს მაუნთ სინაის საავადმყოფოს თანამშრომლებმა 1400 ორსული ქალი გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ იმ ქალბატონებს, რომლებსაც დაორსულებამდე სისტოლური (ანუ პარამეტრის ზედა) ციფრი აწეული ჰქონდათ, უფრო ხშირად ბიჭები, დაბალი მნიშვნელობის მქონეებს კი გოგონები უჩნდებოდათ.

უფრო მნიშვნელოვანი განათლება ყოფილა

დუბლინის (ირლანდია) საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ის ამბავი, თითქოს დედის ძუძუთი გაზრდილი ბავშვები სხვებზე უკეთ აღზრდილნი და მეტად გონიერნი არიან, სინამდვილეს არ შეესაბამება.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ იმაზე, თუ როგორ იქცევიან ბავშვები და როგორ ართმევენ თავს სხვადასხვა დავალების შესრულებას, უმთავრესად დედის განათლება და ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი მოქმედებს. გამოკვების ხერხი კი ამ დროს მეორადი მნიშვნელობისაა.

საჰარაში წელს მეორედ მოთოვა

საჰარას უდაბნოში წელს უკვე მეორედ მოთოვა. ორივეჯერ აღნიშნული მოვლენა ქალაქ აინ-სეფრაში მოხდა.

ამის შესახებ Daily Express წერს.

მედია აღნიშნავს, რომ მსგავსი მოვლენა საჰარაში 30 წლის წინაც იყო.

ზაფხულში აინ-სეფრას რეგიონში ჰაერის ტემპერატურა 37 გრადუსს აღწევს, ზამთარში კი შესაძლოა ნულს მიუახლოვდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

აუტანელი ცოლი

ხელსირჩიანი მეზობელი მეზობელს შესჩივის:

— როცა ჩემი ცოლი ფხიზელია, ძალიან აუტანელია.

— მსმელი ქალია? — იკვირვებს მეზობელი.

— არა, სიცოცხლეში წვეთი არ დაულევია.

უკვე იცის

პატარა ბიჭი დედას ეძახის:

— დედიკო, კაბინეტში შედი, იქ დიდი კიბე დამრჩა.

— მამაშენმა რომ გაიგოს, ძალიან გაგიბრაზდება.

— მამამ უკვე იცის, კიბე დიდ ჭალზე ჰკიდია.

საიდუმლო

მონადირეების ეშმაკობები ცნობილია, ისინი მთელი დღე აღმა-დაღმა ტყეულად დაძრწიან და ვერაფერს კლავენ, შემდეგ ფრინველს მაღაზიაში ყიდულობენ და თავის ნანადირევად ასაღებენ. თუმცა, კაციშვილმა არ იცის, ვისი დახოცილია ის ფრინველი, რომელსაც იქ ყიდიან.

ასაკის შედეგი

მდინარის პირას ორი ბიჭი ზის და ფეხები წყალში აქვთ ჩაყოფილი, ერთი ეუბნება მეორეს:

— შენ ჩემზე ჭუჭყიანი ფეხები გქონია.

— მერე რა, — უპასუხებს მეორე, — მე ხომ შენზე უფროსი ვარ.

ბედნიერება

ახალგაზრდა ექიმი ავადმყოფს სინჯავს.

— ძალიან დაგვიანებულად მომმართეთ, — ეუბნება ექიმი ავადმყოფის ცოლს. — სამწუხაროდ, თქვენი მეუღლე უკვე აგონიაშია, ხელები გალურჯებული აქვს.

— ექიმო, ხელები იმიტომ აქვს ლურჯი, რომ მღებავია.

— ეს დიდი ბედნიერებაა, — სულ მოითქვა ექიმმა, — მღებავი რომ არ ყოფილიყო, ახლა უკვე მკვდარი იქნებოდა.

ლოგიკა

უფროსი თვალყურს ადევნებს თავის მდივან ქალს, რომელიც საბეჭდ მანქანას დასტრიალებს.

— დაუჯერებელია, — ამბობს უფროსი, — თქვენ მანქანაში ლენტის გამოცვლაც კი არ შეგძლებიათ.

მდივანი ქალი მხრებს იჩეჩავს:

— მერე რა, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ რიხტერს თავის როიალის აწყობაც შეეძლო?

გამოცანა

— **ძვირფასო**, დღემდე ჩემთვის გაუგებარია, მართლა გიყვარვარ თუ არა?

— საყვარელო, მაგას კითხვა უნდა?

— იქნებ ეს არც კითხვაა, მაგრამ ამასთანავე, არც პასუხია.

შუამდგომლობა

ეძვსთვემისჯილი ხულიგანი მოსამართლეს მიმართავს:

— შუამდგომლობით უნდა მოგმართოთ, რათა ჩემი სასჯელი ზამთარში მოვიხადო.

— ზამთარში რატომ?

— რადგანაც ზამთარში მოკლე დღეებია.

გამოიწერეთ ან ეოველდღე იეიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4691; ევრო - 3.0617;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4474;
100 რუბლი - 4.3212; თურქული ლირა - 0.6534;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4519;
1000 სომხური დრამი - 5.1279.

ამინდი 8 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge